



ქვემოთ მოცემულია
④

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



თბილისი
გაბრიელის ქ.

განმომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1976

კ. შარტავა ს. ს. ხ. ს. კ. ს. ს.
სახელმწიფო რ. ს. უბანი
ბი. ლი. გ. თბილისი



საქართველოს
საქართველოს



ატენის სიონი. შთავარანგელოზი.

Архангел Атенского Сиона.

ფოტო მ. კობალიანისა და მ. ცვეტინიძის. Фото О. Кобалиани и О. Цвितिшдзе.

გარეკანზე — ატენის სიონი, მ. კობალიანისა და მ. ცვეტინიძის ილუსტრაციები.

На обложке — Атени. Сиони. Иллюстрации О. Кобалиани и О. Цвितिшдзе.

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



ქველეს ქობინა

ქართული ენციკლოპედია



ქართული
ენციკლოპედია

სერიის რედაქტორი — ოთარ ჩერქეზია
რედაქტორი — თენგიზ ფერაძე

Редактор серии — Отар Черкезия
Редактор — Тенгиз Перадзе

გ ა მ მ ღ ი ს ს ა უ თ გ ა ღ ღ ი ა რ ი ვ ს ა წ წ ი ს ი ა ზ ე ბ

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, მახტან ბერიძე, ირაკლი გოლშვიანი (პ/მგ. მდივანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაყაიშვილი, ირაკლი ჯაქარიაშვილი, ნიკო კვიციანი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან შატარაძე, ოთარ სანთელიძე, თენგიზ ფერაძე, გიორგი ჩიტანია, მახტან ცინცაძე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

დავით-გარეჯის კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ დავით-გარეჯის კულტურის ძეგლების კომპლექსების: დოდოს რქის, ლავრის, ნათლისმცემლის უდაბნოს, ჩირხიტურის, წამებულის, ბერთუბნისა და სხვ. მოვლა-პატრონობა, დაცვა და პოპულარიზაცია არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ადგილი აქვს ამ ძეგლების რღვევას, კედლის მხატვრობის დაშლას, დაზიანებას, პირუტყვის სადგომებზე გამოქვაბულებისა და ნაგებობების გამოყენებას და სხვა დაუშვებელ მოვლენებს. კომპლექსების ტერიტორია გამოყენებულია ზამთრის საძოვრებად, დაუსაზღვრელია. ძეგლები უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 40 კილომეტრით და მეტით არის დაშორებული, რის გამოც მცველები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

დავით-გარეჯის მუზეუმი არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს. იგი არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სახსრებით და ფონდებით.

ეროვნული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ნიმუშების დაცვის საქმეში არ მონაწილეობენ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია კომპლექსებთან მისასვლელი გზები, არ არის სასმელი წყალი, მოუგვარებულია ელექტრომომარაგება, რადიო, სატელეფონო კავშირი და სხვ. ძეგლები არ არის შეტანილი ტურისტულ მარშრუტებში.

დავით-გარეჯის კულტურის ძეგლთა კომპლექსების დაცვისა და პოპულარიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დავით-გარეჯის კომპლექსების მამდებარე ტერიტორია გამოცხადდეს მუზეუმ-ნაკრძალად.
2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კომპლექსების მოვლა-პატრონობას, რისთვისაც:
 - ა) გახსნას კომპლექსების ზონაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს უბანი;
 - ბ) 1977-1980 წლების კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში გაითვალისწინოს დავით-გარეჯის მუზეუმის მშენებლობა, აგრეთვე ყოველწლიურად — 100 ათასი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი დავით-გარეჯის სტაციონარული ბაზის შესაქმნელად;
 - გ) 1975-1977 წლებში შეისწავლოს უდაბნოს ტერიტორიაზე აღურიცხველი კულტურის ყველა ძეგლი და წარმოადგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მათი სახელმწიფო დაცვის შესახებ;
 - დ) 1975-1976 წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაადგინოს დავით-გარეჯის კულტურის ძეგლთა კომპლექსების დაცვითი ზონები, შეიმუშაოს ამ ზონების დაცვის ღონისძიებანი და გადასცეს განსახორციელებლად სათანადო რაიალმასკომებს.
 - ე) გაითვალისწინოს 1976 წლისათვის დავით-გარეჯის კულტურის ძეგლთა კომპლექსებზე გამაგრება-აღდგენითი სამუშაოები 80 ათასი მანეთის ფარგლებში;



ვ) 1976 წლის დამლევისათვის სათანადო ორგანიზაციებთან ერთად შეადგინოს კომპლექსებში ჩასატარებელ სამუშაოთა გენერალური გეგმა;

ზ) საგარეოს რაიონის შრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად შეარჩიოს და წარმოადგინოს წინადადება დადგენილი წესის შესაბამისად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ მუზეუმ-ნაკრძალის მუშა-მოსამსახურეთა დასახლების მიზნით.

2. საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ:

ა) 1976 წლის ჯანმავლობაში წესრიგში მოიყვანოს დავით-გარეჯის „ლაერის“ კომპლექსის წყლით მომარაგების სისტემა;

ბ) ნიშნინარე წყლის შეისწავლოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება 1976-1980 წლებში სახელმწიფოს მიერ დაცული დავით-გარეჯის ძველთა კომპლექსების წყალმომარაგების შესახებ.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (მოწვევა), საქართველოს სსრ ძეგლებზეაა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ძველთა ფიქსაციის სპეციალურმა ექსპერიმენტულმა ლაბორატორიამ განიხილოს და გაითვალისწინოს სამუშაო გეგმებში დავით-გარეჯის კომპლექსების ზეოთმოდგრების, კედლის მხატვრობისა და არქეოლოგიური შესწავლა და ფიქსაცია.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ 1976 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს საკითხი და წარმოადგინოს წინადადება დავით-გარეჯის კომპლექსებთან მისასვლელი გზების გაყვანისა და შეკეთების შესახებ.

5. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა საწარმოს სამმართველომ „საქმთავარენერგომ“ 1976 წელს შეიმუშაოს კომპლექსების გარე ელექტრომომარაგების პროექტი და განახორციელოს იგი 1977-1980 წლებში.

6. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1976 წელს დაამყაროს სატელეფონო კავშირი თბილისსა და დავით-გარეჯის მუზეუმს შორის და გაითვალისწინოს კომპლექსების სატელეფონო კავშირის შემდგომი განვითარება.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს დაცვის ზონებში მოქცეული მიწის ფართობების ექსპლუატაციის ისეთი წესები, რომლებიც გამორიცხავენ ძველების დაზიანებას.

8. საქართველოს პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ 1977 წლიდან დაიწყოს დავით-გარეჯის ტურისტული ბაზის მშენებლობა.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1976 წელს დამატებით გამოყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის ერთი სატვირთო ავტომანქანა და ერთი ეტლიანი მოტოციკლტი დავით-გარეჯის ძველების სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

10. დამტკიცდეს დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის კომპლექსების რესტავრაცია-კონსერვაციის სახელმწიფო საკოორდინაციო კომისიის შემადგენლობა დანართის თანახმად.

აღიქსნადრე რამიშვილი

არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზოგირთი საკითხი

ჩვენს ქვეყანაში კულტურის ძეგლების დაცვა და მათი მოვლა-პატრონობა საყოველთაო ზრუნვის მუდმივ საგნად არის ქცეული. ამის ნათელი დადასტურებაა საკავშირო¹ და რესპუბლიკური² მთავრობის ის მრავალრიცხოვანი დადგენილებანი, რომლებიც ჩვენი ხალხის წარსულთან დაკავშირებული სხვადასხვა სახაითის ძეგლების დაცვას ეხება. შექმნილია კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, დეალეული აქვთ კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა. ამავე მიზანს ემსახურება კულტურის ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში ამგვარი საზოგადოება პირველად საქართველოში შეიქმნა 1959 წელს. განვლილ პერიოდში ჩვენში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მიზნით: დამცველი პავილიონები გაკეთდა არმაზის აბანოს, მცხეთის აკლდამასა და ვანის მრგვალ ტაძარს; ჩატარდა დაცვითი საკონსერვაციო გათხრები ნიშისში, ახალციხის ამირანის გორაზე და ქობულეთის ფიჭვნარში; ნაჭრძალად არის გამოცხადებული მცხეთისა და ვანის ტერიტორია, ქობულეთის ფიჭვნარის ნაქალაქარის ნაწილი და ღვინოვანის მინდორი; შედგენილია ბიჭვინტის ნაქალაქარის კონსერვაციის პროექტი³ და სხვ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალი ღონისძიებისა, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის საქმე, მათი სპეციფიკური სახაითისა და მოვლა-პატრონობის გარკვეული სირთულის გამო, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩვენში კულტურის ძეგლების დაცვის საერთო დონეს. სწორედ ამიტომ, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის ცნობილ დადგენილებაში — კულტურის ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — პირველსავე ანხაცში არის აღნიშნული, რომ არქეოლოგიური ძეგლების დაცვისადმი კონტროლი არ სწარმოებს⁴. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის დადგენილებაში კი ხაზგასმულია, რომ მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი „ფაქტიურად ხელმძღვანელობს, მხოლოდ არქიტექტურის ძეგლთა დაცვას, ხოლო დანარჩენი ძეგლები მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე. დღემდე არ არსებობს სახელმწიფო დაცვაზე აყვანილი ისტორიული, არქეოლოგიური და ხელოვნების ძეგლთა დაზუსტებული სიები, სუსტად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ძეგლების გამოსავლენებლად⁵. ასეთი ვითარების გამოსწორების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში შექმნა კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველო და დააჯალა კულტურის ყველა სახის ძეგლთა აღრიცხვის, დაცვისა და გამაგრება-აღდგენის სამუშაოების ხელმძღვანელობა⁶.

საკავშირო და რესპუბლიკურ მთავრობათა მიერ შემოღწიწულ დადგენილებათა მიღების შემდეგ გავიდა საკმაო დრო, მაგრამ, ვფიქრობთ, არ იქნება ვაწვიადებული თუ ვიტყვი, რომ არქეოლოგიური ძეგლების დაცვის საქმეში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეთა სამმართველოთაუვისი არსებობის თითქმის ოცი წლის მანძილზე ძირითადად ისევ არქიტექტურის ძეგლების მოვლა-პატრონობითა და დაცვით არის დაკავებული და, რბილად რომ



ვთქვათ, მეტად მცირე ყურადღებას უთმობს არქეოლოგიურ ძეგლებს. ძეგლთა დაცვის სამმართველოს საქმიანობის ასე ცალმხრივად წარმართვის ნათელი ილუსტრაციაა წინააღმდეგობა და ცეცხლი, რომელიც დაიწყო 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილების დაწესებით. ამ დროის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილების დაწესებით ჩამოთვლილ საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანეს 87 ძეგლს შორის არცერთი არ არის არქეოლოგიური.

კულტურის ძეგლთა დაცვის ორგანოების საქმიანობის ასეთ ცალმხრივ ხასიათს, გარდა გარკვეული ტრადიციების სიძლიერისა, ისიც აპირობებს, რომ სათანადო დანატრეუბასა და საჭირო აქტიურობას არ იჩენენ ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც არქეოლოგიურ ძეგლებს შეისწავლიან. ეს დაწესებულებები და ცალკეული არქეოლოგები უკეთეს შემთხვევაში კმაყოფილებიან საკითხის დასმით ამა თუ იმ ძეგლის დაცვის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარ წინადადებათა უმრავლესობა განუხორციელებელი რჩება. ამის შედეგია ის, რომ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა ძირითადად მათზე მიწის მიყრით ამოიწურება, ხოლო ღმირად პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლები ბედის ანაბარად არის მიტოვებული. ასე მაგალითად: არსებითად დაუცველია, ან ფაქტიურად სრულიად არასაკმარის დამცველი ღონისძიებებითა ჩატარებული ისეთ უნიკალურ ძეგლებზეც კი, როგორცაა ბაგინეთის სახელე, მელიტელის სამლოცველოები, ბიჭინტის ნაქალაქარის ტაძრები, საცხოვრებელი კვარტალები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი; ძალისას აბანოები, დედოფლის მინდვრისა და კავთისხევის „ციხიანთა“ საკულტო თუ საერო ნაგებობანი და სხვ.

გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევხებით შემდეგ საკითხს:

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის დადგენილების დანართის §25-ში სახსვლით გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც არქეოლოგიური ძეგლის დაზვერებისა და გათხრების ჩატარების უფლება მიეცემათ, ვალდებული არიან სამუშაოს დასაწყისიდან მის დამთავრებამდე დაიცვან ძეგლი დანგრევისა და დატაცებისაგან.⁷ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ივნისის დადგენილების მე-4 პუნქტი კი, არქეოლოგიური გათხრების მწარმოებელ ყველა ორგანიზაციას ავალებს ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე იკისროს ძეგლის კონსერვაცია.

როგორც ცნობილია, არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. მას, როგორც წესი, დაფინანსება ეძლევა ძეგლის მხოლოდ მეცნიერული შესწავლისა და პუბლიკაციისათვის. გამოვლენილი ძეგლის დაცვისათვის კი სამეცნიერო დაწესებულებას არც დაფინანსება აქვს და არც სათანადო სპეციალისტები ჰყავს. ჩვენის აზრით, არც არის გამართლებული სამეცნიერო დაწესებულებებზე გამაგრებისა და დაცვის ფუნქციების დაკისრება. ამისათვის არსებობს სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალება ყველა სახეობის კულტურის ძეგლის დაცვა. სამეცნიერო დაწესებულება, როგორც ეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგე-

ნიღებაშია აღნიშნული, პასუხისმგებელი უნდა იყოს დაიცვას ძველი დანგრევისაგან არქეოლოგიური გათხრების პროცესში, ხოლო გათხრების დამთავრების შემდეგ მხოლოდ მოვლენილი ძეგლის კონსერვაცია და მოვლა-პატრონობა მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ ველ ორგანიზაციას უნდა დაეკისროს. საჭიროა დაზუსტდეს კიდევ ერთი საკითხი. როგორც ცნობილია, არქეოლოგიური გათხრები მეტად ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. ამიტომ ყოველთვის არ იქნება მიზანშეწონილი აღდგენა-გამაგრების სამუშაოების დაწყება მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების დამთავრების შემდეგ — ზოგჯერ ამ დროისათვის შესაძლებელია გასათხრელიც აღარაფერი დაგვრჩეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში დაცვითი ღონისძიებანი თან უნდა სდევდეს არქეოლოგიურ გათხრებს. ამა რა გამართლებდა შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ დღემდე არ არის დაწყებული საკონსერვაციო სამუშაოები ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე როგორც აღმოჩნდა ძალისაში, კავთისხევის „ციხია-გორაზე“, დედოფლის მინდორზე, დიდნის მასივის მიდანიებში და სხვ., თუმცა, თითოეული ამ ძეგლის გათხრა ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, აუცილებლად მიგვაჩნია, ერთხელ და სამუდამოდ მკვეთრად განისაზღვროს სამეცნიერო და ძეგლის დამცველი ორგანიზაციების მოვალეობანი და შეიქმნას ყოველგვარი პირობა გამოვლენილი ძეგლების დროული კონსერვაციისა და დაცვისათვის.

სასწრაფო და რადიკალური ღონისძიებების გატარებაა საჭირო გათხრილი არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული წესების შემუშავების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ალიზითა და ტალახის ხსნარზე ნაგებ შენობათა დაცვის საქმეში. ის რომ ამგვარი ძეგლების დაცვა ჯერ კიდევ ზაერთოდ რთული პრობლემაა არ უნდა გახდეს გულდამშვიდების საფუძველი. ჩვენ იმას კი არ უნდა ველოდეთ, რომ ვინმე გამოგვიგონებს ამგვარი ძეგლების დაცვის საშუალებებს, არამედ საჭიროა თავად ვცდილობდეთ დღეისათვის ძნელად დასაცავი არქეოლოგიური ძეგლების გამაგრება-აღდგენის სულ უფრო და უფრო სრულყოფილი მეთოდების შემუშავებას. სამწუხაროდ, ჩვენში ამ მიმართებით ჯერჯერობით არაფერი კეთდება. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ჩვენ თვალწინ ნადგურდება მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი და საერთაშორისო ტურიზმისათვის ისეთი მოზერხებული გეოგრაფიული მდებარეობის მქონე შთამბეჭდავი ძეგლი, როგორც არის თრელების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გრანდიოზული ნამოსახლარი დიდნის მასივის რაიონში.

ცხადია, აუცილებელია განხორციელდეს საქართველოს მთავრობის დადგენილება⁶ და დაუყოვნებლივ დაიწყოს რაც შეიძლება ფართო მასშტაბის კვლევა-ძიება განათხარი არქეოლოგიური ძეგლების დაცვის მეთოდებისა და პრაქტიკული წესების შემუშავებისა და სრულყოფის მიზნით.

კიდევ უფრო მოუგვარებელია იმ არქეოლოგიური ძეგლების დაცვა, რომლებიც ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევა-ძიების ობიექტი. ზემდგომი ორგანოების სათანადო დადგენილებებში⁷ აღნიშნულია, რომ არქეოლოგიური ძეგლების ირგვლივ მათი მნიშვნელობისა და ზომის შესაბამისად უნდა მოეწყოს დაცვითი ზონები. აკრძალულია არქეოლოგიური ძეგლების მოხენა, ან გათხრა რაიმე სამეურნეო მიზნით და მისი გამოყენება სამშენებლო მასალად. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ არქეოლოგიური ძეგლების დაცვის შესახებ საკავშირო და რესპუბლიკურ მთავრობათა დადგენილებების ეს უმნიშვნელოვანესი პუნქტები თითქმის არ ზორციელდება. გარდა ნაკრძალად



გამოცხადებული რამდენიმე ძეგლისა, არცერთ არქეოლოგიურ ძეგლს არა აქვს დადგენილი დაცვითი ზონა. სწორედ ამიტომაც ჩვენში უამრავია ისეთი მუტად მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც იხუნება, ან არადა სხვადასხვა სამეცნიერო-მეცნიერო-მეცნიერო მიზნობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს ზიანდება, ზოლო ზოგ შემთხვევაში მთლიანად ნადგურდება. დავასახელებთ ზოგ მათგანს¹⁾. წლების განმავლობაში იხუნება და ზიანდება გვიანბრინჯაოს ხანის საკულტო ძეგლი სოფ. შილდამი, ამავე პერიოდის ნამოსახლარები — გვჯვკოროის რაიონის სოფლებში: საელიაოში, ნაგვაზაოსა და სერგეთში; ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების კრემაციული სამაროვანი ზესტაფონის რაიონის სოფ. კვალითში; ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონში საკარმიდამო ნაკვეთებად ნაწილდება ბორის ცნობილი სამაროვნის ტერიტორია (როგორც ცნობილია, აქ პირველად აღმოჩნდა არმაზული დამწვრობა და დადასტურდა იბერიის პიტიაშვის არსებობა ლიხთიმურეთში); კასპის რაიონის სოფ. რენწემი სახილოსე ორმოს ამოღებისას დაინგრა გვიანბრინჯაოს ხანის უნიკალური ნივთების შემცველი სამარხები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სამაროვნის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოები არ შეწყვეტილა. თავისთავად ცხადია, სათანადოდ რომ ყოფილიყო განხორციელებული შემდგომი ორგანოების დადგენილებანი და როგორც ჩამოთვლილი, ასევე ყველა სხვა არქეოლოგიურ ძეგლებს ჰქონოდა დამცავი ზონები, მაშინ ადვილი არ ექნებოდა მათდამი ასეთ უდიერ მოპყრობას.

მაშასადამე, არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მათ ირგვლივ დაცვითი ზონების დადგენა და იქ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ყოველგვარი მიწის სამუშაოების აკრძალვა.

არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ორგანიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ არც თუ იშვიათად ამ ძეგლებს არღვევს და ზოგჯერ მთლიანად ანადგურებს ბუნებრივი პირობებიც (წვიმა, ქარი, ზღვის ტალღები, მდინარის დინება, მეწყერი და სხვ.). ასე მაგალითად, მდინარეები არღვევენ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარს სოფ. ალავერდში, გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს სოფ. აბაშასა და წყემს შორის და სოფ. სეფეთში; ხშირი მეწყერებისაგან ზიანდება ყვაი ქედას ნასახლარი ცაგერის რაიონის სოფ. ცხეთაში; ზღვის ტალღებმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ზღვისპირა სადგომები ჩაქვში და სხვ. ბუნებრივია, ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარ ძეგლებსაც. იქ სადაც ეს მოსახერხებელია, უნდა ჩატარდეს დაცვითი პროფილაქტიკური ღონისძიებანი — მიწის დაყრა-დამგარება, საყრდენი კედლების ამოყვანა, თუ სხვ. იქ სადაც ამგვარ ღონისძიებათა ჩატარება ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი აღმოჩნდება, საჭირო გახდება ძეგლის ავარიული ნაწილის არქეოლოგიური გათხრა და სათანადო ფიქსაცია. ჩვენ მიგვარჩია, რომ ამგვარი ძეგლების ე. წ. დაცვითი-საკონსერვაციო გათხრების ჩატარებაც ძეგლთა დაცვის ორგანოების მოვალეობაა. საქმე იმაშია, რომ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ძირითადად მუშაობენ მრავალი წლით დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების შესაბამისად. ამიტომ, მათთვის შეუძლებელია იკისრონ ავარიულ ძეგლებთან დაკავშირებული სამუშაოები. ძეგლების დაცვის ორგანოები კი ვალდებული არიან იზრუნონ და დაიცვან დაზიანებისაგან ყველა სახეობის კულტურის ძეგლი და ჩატარონ ამისათვის საჭირო ყოველგვარი ღონისძიება. რამდენიმე წლის წინ ჩვენში ამ მიმართებით გადაიდგა კიდევ გარკვეული ნაბიჯები. კერძოდ, დაცვითი-საკონსერვაციო გათხრები ჩატარდა ნიჩბისში, ახალციხეში და ქობულეთში, მგვრამ შემდეგ ძეგლების დაცვის ორგანოებმა, სხვათა შორის, არქეოლოგების ერთი ნაწილის მხარდაჭერით, უარი თქვეს



ამგვარ სამუშაოებზე და ავარიული არქეოლოგიური ძეგლები კვლავ ბედისხანაბარად დარჩნენ.

დასასრულ, გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს — სახელდობრ იმპერიული გიურ სამუშაოებს, რომელთა ჩატარებაც აუცილებელი ხდება არქიტექტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრების დროს. რასაკვირველია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას პრაქტიკიდან ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს სამუშაოები არქეოლოგის გარეშე ტარდება, თუნდაც მალალკვალიფიციური არქიტექტორისა თუ ხელოვნათმცოდნის მეთვალყურეობით. კულტურის ძეგლზე მიწის ყოველგვარი სამუშაო უნდა ჩატარდეს არქეოლოგის ზედამხედველობით. ეს აქსიომაა და მას მხოლოდ შესრულება სჭირდება, ამიტომ მის შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენ ამჯერად გვინდა დავსვათ საკითხი არქიტექტურის ძეგლებზე დიდი მასშტაბის სამუშაოების დროს არქეოლოგიური დაზვერვების აუცილებლად ჩატარების შესახებ. ჯერ ერთი, ამ გზით შესაძლებელია მოვიპოვოთ თვით ძეგლისა და მისი შექმნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მასალა. გარდა ამისა, ასეთი, შედარებით მცირე მასშტაბის სამუშაოს ჩატარება განუთხოვლ სამსახურს გაუწევს ქვეყნის არქეოლოგიური შესწავლის საქმესაც სხვა საკითხია მიღებული იქნება თუ არა ეს წინადადება საერთოდ, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია ნაგებობაში ან მის ეზოში ქვაფენილის მოწყობა ამ ადგილის არქეოლოგიური დაზვერვის გარეშე.

ამგვარად, ძეგლების დაცვის ორგანოებს საკმაოდ დიდი სამუშაოს ჩატარება ეკისრებათ არქეოლოგიური ძეგლების დასაცავად. მისი შესრულება არქეოლოგის იმ ერთი საშტატო ერთეულია: იმედათ, რომელიც ამჟამად სპეციალურ სამეცნიერო სარეზერვაციო-საწარმოო სახელოსნოს, ძეგლების დაცვის ღონისძიებების პრაქტიკულად განმახორციელებელ დაწესებულებას გააჩნია, რასაკვირველია მეტად ძნელია. მშენებლობის გაზრდილ ტემპებთან დაკავშირებით არქეოლოგების გადატვირთვის გამო, არც იმ სამეცნიერო დაწესებულებების დიდი იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომელთაც კვალიფიციური არქეოლოგები ჰყავთ: ამიტომ, არსებულ ვითარებაში აუცილებელი ჩანს ძეგლების დაცვის ორგანოებს, კერძოდ კი სპეციალურ სამეცნიერო სარეზერვაციო საწარმოო სახელოსნოს ჰყავდეს არქეოლოგების ჯგუფი.

გარდა ამისა, საჭიროა ძეგლების დაცვის საერთო სახალხო საქმეში უფრო აქტიურად ჩაებათ მხარეთმცოდნეობის მუზეუმები და ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, მაგრამ ამისათვის აუცილებელი იქნება წინასწარ მოსაზრებელი მუშაობის ჩატარება არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-პატრონობის სპეციფიკური ხასიათის ფართო მასებამდე დაცვანის მიზნით.

ამჯერად მაინც, ჩვენ ამოცანას არ შეადგენდა ამომწურავი საუბარი არქეოლოგიური ძეგლების დაცვის — მათი გამაგრება-აღდგენისა, თუ მოვლა-პატრონობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ამ რიგის მხოლოდ ზოგიერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან და ხშირ შემთხვევაში გაურკვეველ საკითხებზე. თუ ეს წერილი ერთგვარ ბიძგს მაინც მისცემს სათანადო დაწესებულებებისა და სპეციალისტების ფართო მსჯელობას არქეოლოგიური ძეგლების საჭირობოროტო საკითხებზე, მაშინ მისი დანიშნულება ძირითადად შესრულებული იქნება.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

- 1 იხ. დოკუმენტების კრებული: Охрана памятников истории и культуры, № 1073.
- 2 იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 1956. 15. IX. № 267, 1967. 5. VI. № 356; 1970. 10. VII. № 394; 1975. 9 I. №13 და სხვ. აღზათ არ იქნება ურიგო, მსგავსად ზემოთ მითითებული კრებულისა, ცალკე იქნეს თავმოყრილი და ბეჭდურად გამოცემული კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანიც.
- 3 ვ. ცინცაძე, ნაქალაქარი ბიჭვინტა, ძველის მეგობარი, 26, გვ. 57-65.
4. Охрана памятников истории и культуры, გვ. 65.
- 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 525, 1956. 15. IX
- 6 იქვე, პუნქტი 1 და 2.
7. Охрана памятников истории и культуры, გვ. 65.
- 8 იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილების მე-5 პუნქტი.
9. Охрана памятников истории и культуры, გვ. 73.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 267 დადგენილების „ე“ და „გ“ პუნქტები.
- 10 ცნობები სხვადასხვა ძეგლების მდგომარეობის შესახებ მომწოდეს არქეოლოგებმა: მ. ბარამიძემ, შ. დედაბრიშვილმა, კ. ფოცხელაურმა ა. კვიციანიშვილმა და სხვ.

ბიბლიოთეკის მისამართი

სამაროვანი სოფ. ყვარულწყლის

1966 წელს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ყვარულწყლის სამხრეთით სუთასი მეტრის მანძილზე, სოფ. კუწახტასთან ახლოს, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხისათვის, ექსპლუატორებით მიწის ამოღებისას N12 და N13 პიკეტებს შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები (მახვილები, შუბისპირები, რგოლები) და სარდიონის მძივები. მშენებლებმა ეს მასალა თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჩააბარეს.

1967 წელს ამ აღმოჩენის ადგილზე სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი კ. ფიცხელაური). არხის კედლები ექსპედიციას ბეტონის საფარულით დახედა მოპირკეთებული. მშენებლების მიერ მითითებულ ადგილებში სადაზვერგო თხრილებს არავითარი შედეგი არ მოუტანია, მაშინ როდესაც მიმდებარე ტერიტორიის დაზვერვების შემდეგ სოფ. ყვარულწყლის სამხრეთ განაპირას, (მდ. ყვარულსხევის მარცხენა ნაპირზე, ზევი. ფლატეში, არხის მშენებლობასთან დაკავშირებით) მდინარისათვის ახალი კალაპოტის გაჭრის დროს, აღმოჩნდა დაზიანებული ორმოსამარხები. ისინი მშენებლების მიერ აღმოჩენილი სამარხებიდან ჩრდილოეთით, ორასიოდ მეტრის მანძილზე მდებარეობდა, ზუსტად ისეთივე ინვენტარის შემცველია და სავარაუდოა ერთ სამაროვანს ეკუთვნის.

ყვარულწყლის სამაროვანზე მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე გაითხარა ოთხი ორმოსამარხი. ამათგან სამი ძლიერაა დაზიანებული ექსპლუატორის მიერ.

სამარხები წარმოადგენდა სწორკუთხა ორმოებს (1,5 X 18, 2,20 X 0,878), რომლებიც დამხრობილი იყო ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. სამარხი ორმო, ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული. როგორც კ. ფიცხელაური ფიქრობს, ბრინჯაოსა და ადრერკინის საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში, მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, შესაძლოა, საფლავზე გასვლა კონოდათ წესად, რაზედაც უნდა მიუთითებდეს N3 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი. ჭურჭელი აღმოჩნდა სამარხი ორმოს ფსკერიდან 0,70 მ. სიმაღლეზე, მაშინ როდესაც თავდაპირველად ორმოს სიღრმე არ უნდა ყოფილიყო 0,80 მ. ნაკლები. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭურჭელი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ჩაფლეს მიწაში სამარხის თავზე, სამარხის გადახურვის ჩანგრევის შემდეგ თიხის ჭურჭელმა, ალბათ ადგილი შეიცვალა და უფრო ღრმად დაიწია.


ანალოგიური შემთხვევა დადასტურებულია სამთავროს, გულგულის, ბეშთაშენის, წინწყაროს და სხვა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანზე, შუაბრინჯაოს ხანის სადულას N1 ყორღანზე და ზემო ბოდბის „დაკული ტყის“ ძვ. წ. XV ს ყორღანებში.

ყვარულწყლის სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთით N3 სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულის ძლიერ ჩაშლილი ჩონჩხი. იგი იწვა მარჯვენა გვერდზე ხელფეხმოხრბილი თავით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

სამარხში აღმოჩნდა მდიდარი ინვენტარი. თიხის ჭურჭლის უმრავლესობა განლაგებული იყო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კედლების




ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԳՆԱԳՐԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ



ԵՃՁԳՆ ՈՒՅ

Սղբըննը ՈՒ 3.



Археологический материал из с. Кварелциали (1969 г).

გასწვრივ, ადგილის სიმცირის გამო ისინი ერთმანეთზე იყო დაზვიანული, მიცვალებულის თათთან აღმოჩნდა მსხვილფეხა საკონლის თავის ქალის ძლიერ ჩაშლილი ძვლები. მიცვალებულის პარისახისა და გულმკერდის წინ გამოვლინდა ბრინჯაოს მახვილი, ჩქიფი და მახვილის დასაკიდი ხმხარხარულე თასმა. შემორჩენილი იყო თასმაზე ჩამოცმული ბრინჯაოს მილაკები. თასმა გადარჩენილი იყო თვით მილაკებში. მიცვალებულს წელზე ბრინჯაოს ჯაჭვის ქამარი ჰქონია შემორჩენული, რომელზედაც ღორის ემვი გვიდა.

სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირიც. რომელიც ტარიანად ჩაუტანებიათ. ტარის სიგრძე დაახლოებით 2,40 მ მაინც უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიგვათითებს შუბისპირის (წვერიო კუთხისკენ და თანაც სხვა ინვენტარისაგან საკმაოდ მაღლა სამარხის ფსკერიდან 0,30 მ. დაშორებით) მდებარეობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კახეთში გათხრილ სამარხებში დანახასიათებელი ყოფილა შუბისპირის ამგვარი ჩატანება, ამაზე მიგვათითებს გულგულის I სამაროვანზე გათხრილი არა ერთი სამარხი, სადაც მამაკაცის სამარხების თხრისას ყველაზე მაღლა პირველად ბრინჯაოს შუბისპირი ჩნდებოდა და ყოველთვის სამარხის კუთხეში წვერიო კუთხისკენ.

ევარელწყლის სამაროვნის ორმოსამარხთა ინვენტარის უმეტეს ნაწილს თიხის ნაწარმი წარმოადგენს, იგი მთლიანად სამელუნეო მორგეზეა დამზადებული.

აღნიშნული სამაროვნის კერამიკისათვის დამახასიათებელია უყურო ქოთნები, რომელთა კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამალღებელი ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით, ხოლო ძირის კიდე და მხრები „ფრჩხილისებური“ სახეებით.

ევარელწყლის ორმოსამარხებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, თიხის ჭურჭლის შემდეგი ფორმები: ქვაბქოთანა, დიდი ზომის ორყურა ქილები, კათხა, სასმისი, ღანგარი და სხვა. თიხის ჭურჭლების დიდი ნაწილი დამზადებულია წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, კომიმწვარია ნაცრისფრად ან მოყავისფროდ.



ასეთივე თიხის ტურქული დამახასიათებელია ქისტურისა და თეთრიწყალის მარონის კერამიკისათვის.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყვარელწყლის სამარონის NI სამარსში აღმოჩნდა ორყურა ქილა, რომელიც პირიდან მუცლის ცენტრალურ ნაწილამდე მოხატულია წიფელი ოქრით დატანილი ვერტიკალური ხაზებით.

აღმოსავლეთ საქართველოში გვიანი პრინჯაოს პერიოდისათვის უცხოა მოხატული თიხის ტურქული, მხოლოდ კახეთშია სამი შემთხვევა ამგვარი ტურქლების აღმოჩენისა. ყვარელწყლის სამარონის გარდა ასეთი ტურქული აღმოჩენილ იქნა ზემო ბოდბის № 2 ყორღანში, (ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრით და ძვ. წ. XIV ს. პირველი ნახევრით იარაღდება) და სოფ. გადრეკილის „ნასადგომარის“ სამარონის ერთ-ერთ დაზიანებულ სამარხში, რომელსაც კ. ფიცხელაური გვიანპრინჯაოს ადრეული საფეხურით ათარიღებს.

ყვარელწყლის სამარონზე აღმოჩენილი ლითონის იარაღი (მახვილები და ხატკარები) უნდა მიეკუთვნოს კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი IV₃ ქვდტიპის მახვილებს და ხატვერებს, რომლებიც ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის ახლო ხანებით თარიღდება.

სოფ. ყვარელწყალში გამოვლენილი სამარონის ყველა სამარხი მსგავს მასალას შეიცავს და NS სამარხის თანადროული უნდა იყოს.



(იკონოგრაფიისათვის)

1952 წელს ვანის და სამტრედიის რაიონების საზღვართან სოფელ შთისძირის მახლობლად, დღლის მარცხენა მხარეს, ფერდობზე, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შემთხვევით იპოვეს ძლიერ დაზიანებული სამარხის რამდენიმე ნივთი*. ოქროს ე. წ. სხივანა საყურე, კისრის რკალი ოქროსი, ვერცხლის ყანწ-რიტონის ფრაგმენტები, ბრინჯაოს რამდენიმე ნაგლეჯი და რკინის მოღუნული ჯოხისმაგვარი ნატეხი. როგორც ვხედავთ, შემორჩენილია ნივთების მცირე ნაწილი და თანაც ყოველი მათგანი მეტნაკლებად დაზიანებულია. ამ ნივთების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოფელ შთისძირთან შემთხვევით ნაპოვნი სამარხი თავის დროზე საკმაოდ მდიდრული უნდა ყოფილიყო, სამარხეული ინვენტარის ზოგიერთი კომპონენტის (მაგ., სხივანა საყურეები) მიხედვით სამარხი ძვ. წ. V-IV საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს (შდრ. ნ. ხოშტარია)†.

შთისძირთან ნაპოვნი ნივთთაგან ყველაზე საინტერესოა ვერცხლის ყანწ-რიტონი: (რიტონი ძველბურთი ჭურჭელია, რომელსაც ჰქონდა მოღუნული რქის ფორმა (ყანწი) და იხმარებოდა ღვინის სასმელად. მისი ქვედა ნაწილი შემკული იყო სხვადასხვა არსებათა სკულპტურულ გამოსახულებებით), რომელიც სამწესართად, ძალზე დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ორი ფრაგმენტი, ერთია ვაც-კაცის გამოსახულება. რომელიც ჩამაგრებულია ყანწ-რიტონის ბოლოში, ხოლო მეორე — სუროს გამოსახულებიანი გაბრტყელებული ფირფიტა, რომელსაც დეკარგული აქვს პირვანდელი ფორმა. აქამდე მკვლევარები მას სხვა ჭურჭლის ნატეხად მიიჩნევდნენ‡.

ყანწ-რიტონის ბოლოზე გამოსახულ ფიგურას თავი ადამიანისა აქვს, ხოლო რქები, ყურები და ქვედა კიდურები — თხისა. წრიულად დაღარული რქები ცალკეა თამაშადებული და შემდეგაა დამაგრებული თავზე. გამოსახულება წარმოდგენილია გარეული თხისათვის დამახასიათებელი დაცკვეტილი ყურებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავის გარშემო ნაწნავია შემოვლებული, ხოლო თმის გაგრძელება თავზე, კეფაზე კისერზე წარმოდგენილია ვერტიკალური ხაზებით და ქერცლისმაგვარი ორნამენტით. კისერი მასიურია და სქელი. ფიგურას მკერდამდე დაფენილი აქვს ვერტიკალური ხაზებითა და პორიზონტალური რელიეფური ტალღებითა გადმოცემული წვერულვაში. ოვალურჭრილიანი თვალები ერთმანეთთან ახლოს არის ჩამჯდარა. მალაღი რელიეფური წარბები გადაბმულია. ყვრიმალის ძვლები ამოხნეტილია. პროფილი მკვეთრია. ფიგურის მკერდზე შეიმჩნევა გამოსახულება, დიდი (ფოთლისებური) ყურებით, თავზე ბალნით და ძირს დაშვებული ფეხებით.

ვაც-კაცის ფიგურას აქვს წყვილილიქონისთვის (თხისთვის) დამახასიათებელი ჩლიქები. წინა ფეხები, მუხლის ზემოთ წარმოდგენილია მარაოს მსგავსი ორნამენტით. უკანა ფეხებზე ეტყობა ჭდეების ერთი რიგი. განსაკუთრებით კარგად ჩანს მარჯვენა უკანა ფეხის გაყოფილი ჩლიქი. გამოსახულების მხრებზე და მუცელზეც შეიმჩნევა ირიბი ჭდეები, რომლებიც ტანსაცმელს უნდა გამოხატავდეს.

* 1974 წ. ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. შთისძირის მიდამოებში. აღმოჩნდა წინარეანტიკური, ადრეანტიკური, ელინისტური და ადრეფეოდალური ხანის მასალა.

მთისძირის სამაროვანში აღმოჩენილი
ყანწ-რიტონი.



Ритон из с. Мтисдзირи.

ვაცკაცის გამოსახულება მთისძირის
ყანწ-რიტონზე.



Изображение человека-козла
на ритоне.

ფიგურა და მთლიანად ყანწ-რიტონს რუხი ფერისაა, მოყვითალო ელფერით. ოსტა-
ტი ეცადა ჭერცლისებურა, მარაოსებური, ოვალური და ირიბი ჭდეებისაგან შემდგარი
ორნამენტებით გადმოეცა ფიგურის კუნთები და ცალკეული ნაკვთები.

გადანატეხი, რომელშიც ჩამაგრებულია ვაც-კაცის ფიგურა, შემკულია რელიეფის წრიული გეომეტრიული ორნამენტით. ორნამენტს მოსდევს მსხვერფი ბი (დაღარული), რომლებიც ჩამოკვანან წლოვანების წრეებს.

ასეთივე დაღარული ზედაპირი აქვს ძალზე დაზიანებულ (აბრტყელებული) მეორე ფრაგმენტს, რომელზედაც წრიული ხაზები მოქცეულია ე. წ. გრებილ ორნამენტება შუა. თუ შევეცდებით მისთვის პირვანდელი ფორმის დაბრუნებას ცხადი გახდება, რომ ეს არის ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი. ორნამენტირების ერთგვარობა, მასალის იდენტურობა, აღდგენილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ვაც-კაცის გამოსახულებიანი გადანატეხი და ეს პირ-გვერდის ფრაგმენტი ერთი ყანწ-რიტონის ნაწილებია.

ყანწ-რიტონის პირ-გვერდის ზედა ნაწილს წრიულად დაუკვება მცენარეული ორნამენტი. საფიქრებელია, რომ აქ გამოსახულია კოლხური სურო ე. კობის მიხედვით *Hedera colchica* რომელიც გავრცელებულია აგრეთვე ქანეთში, არაფინის მხარესა და ბალკანეთის ჩახეიარკუნძულზე³. სურო დაკავშირებულია დიონისეს კულტთან და ხშირად გვხვდება დიონისესა და განსაკუთრებით მისი თანმხლები სილენის, მენადების და სატირების გამოსახულებებზე.⁴

მთისძირის ვაც-კაცის გამოსახულებიანი ყანწ-რიტონს ჯერჯერობით ზუსტი და პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება ამჟამად მე არ შეეგებები ყანწ-რიტონის მხატვრულ-სტილისტურ მხარეს.

ყანწ-რიტონის ბოლოზე, როგორც ეს შემოთავაზა აღნიშნული, ნახევრად ადამიანი და ნახევრად თხა ანუ ვაც-კაცია გამოსახული, რომელიც გაავიგივე ნადირთ მფარველ ღვთაება — ოჩოპინტრე — ოჩოპინტე — ოჩოკოჩთან⁵ (ვაც-კაცი). მისი სხეულის ზოგი ნაწილი მამალი თხისაა, ხოლო ზოგი — ადამიანისა, ისევე როგორც ეს მთისძირის ყანწ-რიტონზეა გამოსახული. ნადირთ მფარველი ღვთაება — ოჩოპინტრე დამახასიათებელი მიოლოგიური სახე უნდა ყოფილიყო მთელი საქართველოსათვის. საინტერესოა ეფთუმე მთაწმინდელის ცნობა ქართველთა წარმართობის დროინდელი ღვთაების (ბოჩი) სახელის შესახებ, რომელიც აკად. ი. ჯავახიშვილს გაიგივებული აქვს ოჩოპინტრესთან: „სახელის დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რლნი მათ ღთდ შერაცხნეს რლნიმე მამათა და რლნიმე დედათა სრულიად მრისპენ დიოს. ანუ აპოლოს, ანუ არტემის ანუ ბოჩი და გაცი და ბადაგონ და არმაზ ანუ რომელ იგი წნებასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონისეს სახელს იტყვიან?... საგულისხმოა, რომ ღვთაება ბოჩი ნახსენებია დიონისეს სახელთან ერთად. საფიქრებელია, რომ ვაც-კაცი რამდენადმე დაკავშირებული იყო დიონისეს მსგავს მასტერიებთან. ამაზე მიგვანიშნებს სუროს გამოსახულება მთისძირის ყანწ-რიტონზე, რომელიც დიონისეს წრის ღვთაებებისთვისა დამახასიათებელი და თვით ყანწ-რიტონის ღვინის შესასმელი ჭურჭლის დანიშნულება. ოჩოპინტრეს (ვაკაცს) თავისი ფუნქციით და გამოსახულებით საერთო ნიშნები აქვს ბერძნულ ღვთაება პანთან, რომელიც ხშირად, აგრეთვე, თხა-კაცად არის გამოხატული. ბერძნების წარმოდგენით პანი მხიარული ტყის ღმერთია. პანის გამოსახულება საქართველოში რამდენიმე ადგილასაა დადასტურებული საერთო ბერძნული რელიგიის ჩამოყალიბების შემდეგ პანი დიონისეს ერთ-ერთ თანამგზავრ ღვთაებად იქცა.

სრულიად არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ჯაზის კულტურას დიდი ხნის ისტორია აქვს, ჰყოლოდა დიონისეს მსგავსი ადგილობრივი ღვთაება⁶ თავისი თანამგზავრი ღვთაებითურთ. (ოჩოპინტრე), რომელთანაც



გაივიედა საბერძნეთიდან გავრცელებული დიონისეს კულტი. ეს, ალბათ იმიტომაც შეიძლება, რომ დიონისე იყო პოპულარული ბერძნული ღვთაება საკუთრივ საბერძნეთის ფარგლებს გარეთ.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი დღესასწაულების ზოგიერთი რიტუალური მომენტი — თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება და სხვ. (მაგ., ბერიკობა) გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, მთისძირის რიტონზე სწორედ ამ ღვთაებებთან დაკავშირებული მისტერიების დროს თხად გადაეყვანილი მამაკაცია გამოსახული, რომელიც ღვთაება ოჩოპინტრეს (ვაც-კაცს) განასახიერებდა.

1. Н. В. Хоштариа, Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году, Мასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959, გვ. 154-161.

2. Н. В. Хоштариа, დასახ. ნაშრ., გვ. 156, 158.

3. ა. კ. ჭავჭავაძე, ჩვენი ზეები და ბუნებები, თბ., 1960, გვ. 38, სურ. 16.

4. ნ. ა. კენი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბ., 1965, გვ. 75.

К. С. Горбунова, А. А. Передольская, Мастера греческих росписных ваз, изд. Эрмитаж, Л., 1961, სურ. 20, 8; Фракийское искусство и культура Болгарских земель, М., 1974, ტაბ. 277.

5. ამ სიტყვების ეტიმოლოგიისთვის იხ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960, გვ. 82-88; ნ. გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 234.

6. ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

7. იქვე, გვ. 86-87.

8. Dictionaire de la mythologie, Paris, 1969,

9. ენი I, თბ., 1972, გვ. 19.

10. В. Тари, Эллинистическая цивилизация, М., 1949, გვ. 307.

ბაგრაბ ტიხომცხი

უაჯო საუბატურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ცულეგი თლის სამაროვნიდან

ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში ცენტრალურ კავკასიასა და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელდა ბრინჯაოს საბრძოლო ცულეები. — ამათგან გამოირჩევა სამი ძირითადი ტიპი და რამდენიმე ქვეტიპი.


ისევე როგორც ბრინჯაოს სხვა ნაევთობებს, ბრინჯაოს ცულეებსაც ამკობდნენ გველის, თევზის, შემდგომ, ძაღლის, ირმის და ფანტასტიკური არსების გამოსახულებებით; აგრეთვე წიწვასებური და გეომეტრიული ორნამენტით. გამოსახულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეანდრის ორნამენტს.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, ბრინჯაოს ცულეებზე გაბატონებულია გრაფიკული გამოსახულებები, თუმც ჩნდება პლასტიკური სახეებიც.

წინამდებარე სტატიაში საუბარი იქნება თლის სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ორ ცულეზე, რომელიც სხვა დანარჩენი ცულეებისაგან გამოირჩევა ყუის შემკულობით. ცულეები განეკუთვნება თლის სამაროვნის № 51 და № 41 სამარხების კომპლექსებს.

ცულს № 51 სამარხიდან, თითქმის სიმეტრიული მოყვანილობის პირი აქვს, რომელიც ორივე მხრიდან ცხოველის სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული. ცხოველს დიდა თავი და ფართოდ დაღებული ხახა აქვს. რქები შედარებით პატარა და კობხტა; ტანი ძლიერ გაჭიმული და გახვეწილი; ფეხები მეტად სტილიზებული და მკვეთრად მოხრილი. ცულის პირის ერთ მხარეს გამოსახულ ცხოველის თავსა და ცხვირს ამკობს ორი, შედარებით მსხვილი წერტილით შედგენილი ხაზი, რომელიც ჩასმულია ორ პარალელურ ზოლს შორის. ცულის პირის მეორე მხარეს გამოსახულ ცხოველს ასეთი დეკორი მხოლოდ ცხვირზე აქვს. კუდი ცხოველისა ოდნავ აწეული და მოკლეა. გამოსახულება მთლიანად დაფარულია პუნქტირებით და გამოყოფილია ცულის ტანისაგან წიბურებს შორის ჩამჯდარი ირიბი ხაზებით დაშტრიხული ფართე ზოლით. ცულის წიბურები შემკულია ირიბი, მოკლე ნაჭდევებით; სატარე ზერელი ოვალურია; ცულის ყუა შემკულია ცხოველის, შესაძლებელია დათვის, სკულპტურული გამოსახულებით.

კიდევ უფრო მდიდრულია მეორე ცულის შემკულობა. მისი პირის ორივე მხარე, თითქმის მთლიანად დაფარულია მეანდრის ორნამენტით, რომელიც ცულის ფხისაგან გამოყოფილია პირის მოყვანილობის ჩარჩოთი. ეს უკანასკნელი კი შევსებულია ჭედუღა, ბადისებური ორნამენტით. ცულის ვიწრო ნაწილი შემკულია გრძივი ფართო ზოლებით, რომელთაც ავსებს ბადისებური და წიწვოვანი ორნამენტი. აღნიშნული დეკორი ოვალურ სატარე ზერელამდე გრძელდება ერთნაწილზე სიგრძივ გადაბმული, წერტილებით შევსებული რომბებით და მთავრდება ორ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული ბადისებური ორნამენტის ზოლით; უშუალოდ ყუის თავს ემიჯნება სამი დეკორატიული განივი ზოლი, ამათგან ზედა და ქვედა დაშტრიხულია ბადისებური ორნამენტით, ხოლო შუა, შედარებით ფართო ზოლი შევსებულია პატარა ნაჭდევი წრეების ორი მწკრივით. ცულის ყუას ამთავრებს სკულპტურული გამოსახულება, რომელიც წარმოა-



ყუაზე სკულპტურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ცულები თლის სამარხიდან.

Бронзовые топоры со скульптурным оформлением обуха из Тлиского могильника.

დგენს საპირისპიროდ მიმართული ორი დათვის (?) წინა ნაწილების შერწყმას ერთ მთლიანობაში. ამ სკულპტურულ გამოსახულებას არ ეძებნება ანალოგია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კავკასიის მასალებში.

აღნიშნული ცულები განსხვავდება როგორც ყვის გაფორმებით, ასევე კონფიგურაციით და გრაფიკული დეკორით. № 51 სამარხის ცული თავისი კომპლექსით თარიღდება ძვ. წ. X-IX საუკუნეებით, ხოლო № 41 სამარხეული კომპლექსი უფრო გვიანდელია და თარიღდება ძვ. წ. VII საუკუნით.

როგორც ჩანს, ყუაზე სკულპტურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ცულები არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. უმრავლესობა აღნიშნული ტიპის ცულებისა აღმოჩენილია საქართველოს ტერიტორიაზე. იგი ცნობილია ბარონ დე ბაის კოლექციიდან, პერევიდან, წაღვლიდან და სხვა. პერევისა და წაღვლის ცულებს დ. ჭორიჭე ძვ. წ. X-IX საუკუნეებით ათარიღებს.¹ ერთი მეტად საინტერესო ნიმუში ასეთი ცულებისა სხვა ნიუთებთან ერთად აღმოჩნდა 1963 წელს ჩაბარებში. ჩაბარების კომპლექსს ა კალანდაძე ათარიღებს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და ათასწლეულის დასაწყისით.²

ყუაზე სკულპტურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ცულები ფიქსირებულია აფხაზეთის ტერიტორიაზეც. ყულანურხვას № 1 სამარხში მ ტრაპშის მიერ დადასტურებულია ბრინჯაოს ცული ყუაზე ძაღლის სკულპტურული გამოსახულებით.³ კიდევ ერთი ბრინჯაოს ცული ყუაზე ცხენების სკულპტურული გამოსახულებით აღმოჩენილია გუდაუთის



მახლობლად. ეს ცული გამოქვეყნებული აქვს ა. ლუკინს¹. ბრინჯაოს ცული ყუაზე ხარის სკულპტურული გამოსახულებით აღმოჩენილია ოგორას სამაროვანზე და ისტორიკოს გორც თლის № 41 სამარხის ცული, თარიღდება ძვ. წ VIII საუკუნით².

ერთი მეტად ნატიფი, ორნამენტირებული, ბრინჯაოსტარიანი ცული ყუაზე ძაღლის სკულპტურული გამოსახულებით აღმოჩნდა ს. რენეში (კასპის რაიონი).

ჩრდილო კავკასიაში, ყუაზე სკულპტურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს მხოლოდ ორი ცულია აღმოჩენილი. ერთი ჩათგანი, გალიათის სამაროვნიდან,³ ხაშურის, პერევის და თლის № 51 სამარხში აღმოჩენილი ცულების განმეორებაა. განსხვავებით თლის ცულისაგან, გალიათის ცულის პირი მეანდრით არის შემკული.

სადღესოდ, კავკასიაში ცნობილი თორმეტი ასეთი ცულიდან, ათი აღმოჩენილია საქართველოში. ყველა მათგანი დაკავშირებულია იმ ცხოველის კულტთან, რომელიც განსახლულია ცულის ყუაზე. ასე მაგალითად, ყულანურხვას ცულის ყუაზე სკულპტურულად გამოსახულია ძაღლი და მ. ტრაპში მას აფხაზთა დიდი ღმერთის, შვიდსახოვანი აიტარის ერთ-ერთ სახეს — ძაღლის ღვთაებას უკავშირებს⁴. გუდაუთის ცული ცხენის კულტანაა დაკავშირებული, რადგან მის ყუაზე ცხენის სკულპტურული გამოსახულებებია; ოგორას ცული ხარის კულტთან, ხოლო თლის, ხაშურის, პერევის ჩაბარუხის და გალიათის ცულები, რომელთა ყუაზეც დათვის გამოსახულებებია, დაკავშირებულია გვაროვნული თემის უძველეს კულტთან — დათვის კულტთან.

დათვის კულტი ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოსა და მათ შორის კავკასიის ხალხთა მითოლოგიაშიც. იგი დიდხანს შემოინახა კავკასიის ხალხთა გვაროვნულ თემებში. მაგალითად, ოსებში ხუბაეეების გვარს თავის ტოტემად დათვი მიაჩნია და ამიტომ დათვის მოკვლა და მისი ხორცის ჭამა მათთვის აკრძალულია. ხუბაეეების წარმოდგენით მათი გვარი დათვისაგან მომდინარეობს; თავდაპირველად დათვი ჩვეულებრივი ცხოველი იყო და მასზე ნადირობა შეიძლებოდა. მაგრამ შემდეგ იგი ტოტემად იქცა. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული არსოვეების გვარი (არს-ოსურად დათვს ნიშნავს) ასევეა ქართული გვარებიც—დათუაშვილი, დათუნაშვილი, დათუაშვილი, რუსული გვარი—მედვედევი და სხვ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს შეიცავს ოსური ეპოსი „ნარ-თები“. ოსურმა თქმულებებმა შემოინახა ერთგვარი პატივისცემის გრძობა დათვის მიმართ და არა მარტო ოსურმა — მსოფლიოს მრავალ ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში დათვი მიჩნეულია ჭკვიან და გამგებ არსებად. დასავლეთ სლავებში, ძველ ბერძნებში და ბევრ სხვა ხალხებში შემონახულია დათვის ნაკვალევი, მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებისა. მაგალითად, დასავლეთ ჩეხეთში ჭაბუკს დათვისებურად რთავდნენ. გაახვედნენ ბარდის ჩალაში და ასე მორთულს აცეკვებდნენ ყველა ოჯახის ქალებთან და ქალიშვილებთან. ჩეხების წარმოდგენით ეს რიტუალი ნაყოფიერებას ზრდიდა. პოლონეთში დათვისებურად მორთულ ჭაბუკს ნიშნობის დროს ჩამოატარებდნენ სახიდრით და მას ყოველ სახლოდან უნდა ეღმუვლა. ქალიშვილი, რომელიც პირველი გაივინებდა მის სმას — მალე გათხოვებოდა⁵.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ხალხების, დათვის კულტთან დაკავშირებული, ზოგი წესი საოცრად ემთხვევა ერთმანეთს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, ხუბაეეების გვარს ეკრძალებოდა დათვის მოკვლა და მისი ხორცის ჭამა, რადგან იგი მათი გვარის წინაპრად ითვლებოდა. იდენტური რწმენა-წესები დადასტურებულია ამურ-სახალინის ხალხებში, რომლებიც თავისებურ დღესასწაულებსაც კი აწყობდნენ დათვის კულტთან



დაკავშირებით.⁹ ამავე დროს დათვის კულტი ბევრ ხალხში ნადირთა რეწვის კულტს ერწყმოდა, რადგან უძველესი დროიდან დათვი ნადირობის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა. თუ თავდაპირველად ტოტემის მოკვლა არ შეიძლებოდა, შემდეგ, დროთა განმავლობაში, ამ წესს არც თუ ისე მკაცრად იცავენდნენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში (შინშილით სიკვდილის ან ტოტემი-მტაცებლის წინაშე შიშის დროს) ტოტემს კლავდნენ კიდევ და საჭმელადაც იყენებდნენ. მაგრამ ამის შემდეგ საჭირო იყო განწმენდა და შეწყალების მთელი რიგი წესების ჩატარება.

უხარმარო ტერიტორიაზე დადასტურებული, დათვის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა, ზოგჯერ უწვრილმანეს დეტალებამდე დაყვანილი მსგავსება, ამ კულტის დიდ სიმძვლეზე მიუთითებს და მას ადამიანთა საზოგადოების უძველეს ისტორიასთან აკავშირებს¹⁰. ამ ჩვეულებებს უკავშირდება სამარხებსა და სამოსახლოებზე აღმოჩენილი ავგაროები — დათვის კბილები და ბრჭყალები. ამავე კულტთანაა დაკავშირებული ცენტრალური კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულებები.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დათვის კულტი ქართულ რწმენა-წარმოდგენაში ნათლად და პირდაპირ არ იხატება და რომ იგი აფხაზეთისა და ოსეთისთვისაა დამახასიათებელი.

ბრინჯაოს ცულთა ყვის თავებზე შემოთ განხილულ სკულპტურულ გამოსახულებებს, მხოლოდ საკულტო დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა. იგი წმინდა ესთეტიკურ უუნქეცისადაც ასრულებდა. ამ შემთხვევაში თლის ცულთა სკულპტურულ გამოსახულებებს საკულტო-მაგიური და რელიგიურ-ობოტროპიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

1. დ. ჭორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 118.
 2. ა. კალანდაძე, ჩაბარუსისა და ფსანაურის განძები. დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის I სამეცნიერო სესია, თბისი. თბ., 1965, გვ. 18.
 3. М. М. Трапш, Памятники колхидской и скифской культур в с. Куланурхва Абхазской АССР, Сухуми, 1962, стр. 30—32, рис. 6, 5.
 4. А. Л. Лукин, Материалы по археологии Взыбской Абхазии. ГОИПКИЗ, том I, Л., 1941, стр. 49, табл. XI 1, 2.
 5. ი. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები ოკორაში. ოსე შრომები, თბ., 1965, გვ. 208.
 6. Е. М. Крупнов., Древняя история Северного Кавказа, М., 1960, стр. 472, таб. 1.
 7. М. М. Трапш, ук. соч., стр. 32.
 8. Э. М. Соколова, Культ животных в религиях, М. 1972, стр. 94.
 9. იქვე, გვ. 82-83
 10. იქვე, გვ. 85
 11. Н. Е. Урушадзе, Зооморфные мотивы раннехристианских храмов Грузии. «Мадие» (ВООИ АН Грузинской ССР). Тбилиси, 1973, № 4, стр. 132.

(არქეოლოგიური ვერცხლის აღდგენა)

სამუზეუმო ექსპონატების კონსერვაცია-რესტავრაცია გულისხმობს სიძველეთა რაციონალურ დაცვას, რისთვისაც უპირველესად ყოვლისა საჭიროა იმ ხელშემშლელ პირობების თავიდან აცილება, რომლებიც ხელს უწყობენ მათ შემდგომ დაზიანებას. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ მათი ხანგრძლივი დროით შენახვისათვის.

ამ საქმეს მეტად სერიოზულად და ფრთხილად უნდა მოვეყვიდეთ, რადგან პატარა შეცდომასაც კი შეუიღია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს იმ ძეგლებს, რომელთაც ჩვენი წარსულის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად სიძველეთა დაცვის საქმეს ემსახურება საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი. ამ დარგების გამოყენების გარეშე დღეს წარმოდგენილია კონსერვაცია — რესტავრაციის მეთოდების შემუშავება, თუ არქეოლოგიური მასალის მეცნიერული შესწავლა.

საბჭოთა კავშირში რესტავრაცია-კონსერვაციის საქმე მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას. მას ემსახურება რესტავრაცია-კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და სამხატვრო სახელოსნოები. არსებობს სპეციალური ჟურნალი, სადაც სისტემატურად ქვეყნდება ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მეცნიერების მიღწევები ამ დარგში.


საჭართველოში პირველი ასეთი ლაბორატორია აკად. ს. ჯანაშიას სსხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოყალიბდა, სადაც მუშაობა თავიდანვე მეცნიერულ ნიადაგზე წარმოებდა.

ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი აკად. ფ. თავაძემ, რომელიც იმ ხანებში ლაბორატორიის მეცნიერული კონსულტანტიცყო.

ლაბორატორიამ კვლევა მეტალთა კოროზიის შესწავლით დაიწყო. ეს სამუშაო სსრკ აკად. წევრ კორესპონდენტ ა. აკიმოვის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა რიხი უშუალო მონაწილეობით არა ერთი ექსპონატი იქნა გადარჩენილი ჩვენი მუზეუმის საცავებში.

1950 წლიდან ლაბორატორია გადადის უფრო ფართო მასშტაბის სამუშაოზე. აქ წარმატებით მიმდინარეობს ბრინჯაოს, რკინის და ვერცხლის უძველესი მეტალურგიის, უძველესი მინის წარმოების ტექნოლოგიის საკითხების შესწავლა და სხვა. შემუშავებულია ბრინჯაოს, მინის, ვერცხლის კონსერვაცია — რესტავრაციის ორიგინალური მეთოდები.

ლაბორატორიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანული წარმოშობის (ხე, ტყავი, ქსოვილი) ექსპონატთა დაცვა. ამისათვის დამყარდა მჭიდრო კავშირი მოწინავე ინსტიტუტებთან თუ ლაბორატორიებთან, მიმდინარეობს მუშაობა ახალ ნივთიერებათა სინთეზზე და გამოყენებულია თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, რომელთა დაწერვა ახალ პერსპექტივებს სახავეს ორგანული წარმოშობის ექსპონატთა დაცვის საქმეში.




საქართველოს
არქეოლოგიის
ინსტიტუტი

ვერცხლის თიალები რესტავრაციამდე
(წელუდერი, 1964 წ.).

Серебряные чаши до реставрации
(Згудери, 1964 г.).

ვერცხლის თიალები რესტავრაციის შემდეგ
(წელუდერი, 1964 წ.).

Серебряные чаши после реставрации
(Згудери, 1964 г.).



ლაბორატორიაში დაინერგა ვერცხლის, ბრინჯაოს, მინას, ქსოვილის, ხის და სხვ რესტავრაცია-კონსერვაციის ახალი მეთოდები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება. ამ მეთოდებით რესტავრირებული და კონსერვირებული ნივთები კარგად უძლებენ დროის ზემოქმედებას.



ვერცხლის ფილაზე რესტავრაციის შემდეგ აღმოჩენილი ნაკაწრი წარწერა (ზღუდვით).

Царапинная надпись обнаруженная после реставрации серебряной чаши. (Згудери, 1964 г.).

ლაბორატორიის თანამშრომლები ხშირად მონაწილეობენ საკავშირო სემინარებზე, სადაც უზიარებენ თავის გამოცდილებას. მიმდინარე წელს ლაბორატორიის ორმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა ვენეციის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მოაწყო მუზეუმების საერთაშორისო საბჭომ. კონფერენცია ეხებოდა სამუზეუმო ფასეულობათა კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებს. მათმა მოხსენებებმა მოწონება დაიმსახურა მსოფლიო კონფერენციაზე.

ჯერ კიდევ 1963 წელს მსოფლიო კონგრესზე ლენინგრადში შეცხვდი მსოფლიოს გამოჩენილ რესტავრატორებს და საუბარი გვექონდა არქეოლოგიური ვერცხლის კონსერვაცია-რესტავრაციის საკითხებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შეხვედრამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო იმის გამო, რომ საკითხი ძალზე რთული იყო.

ამიტომ ჩვენ მოგვიხდა ამ საკითხის სათანადო შესწავლა ხაჭართველოს სახელმწიფო მუზეუმის საკაფეში დაცული ვერცხლის ექსპონატთა გადასარჩენად.

ლაბორატორიის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით დასძლიეს ეს რთული სამუშაო და დღეს არქეოლოგიური ვერცხლის ნივთია გადარჩენის საკითხი პრობლემას აღარ წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიაში სწორედ იმ მეთოდზე გვინდა მოგახსენოთ, რომლის შესახებაც მოხსენება წაკითხულ იქნა 1975 წლის ოქტომბერში ვენეციის საერთაშორისო კონფერენციაზე.

არქეოლოგიური ვერცხლის აღდგენა-რესტავრაცია მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს რესტავრატორთათვის: განათხარი ვერცხლი თითქმის ყოველთვის საჭიროებს დაუსოფნებლივ დამუშავებას, რადგან მიუხედავად ამ ლიოონის „კეთილშობილებისა“ იგი მაინც განიცდის ნიადაგიეული აგრესიული აგენტების შემოქმედებას. ეს გარემოება დამოკიდებულია როგორც ნიადაგის თავისებურებაზე, ისე ნივთის ქიმიურ შედგენილობაზე და მის დამუშავების ხერხებზე.



ვერცხლის ფიალაზე გაწმენდის შემდეგ აღმოჩენილი წერტილოვანი და ხაერით წარწერა.

Точечная и царпинная надпись обнаруженная после реставрации серебряной чаши. (Згудери, 1964 г.).

აგრესიული აგენტების ზემოქმედებით ლითონური ვერცხლი განიცდის ფიზიკო-ქიმიურ ცვლილებებს, რომელიც იწვევს ვერცხლის ზუნების ძირფესვიან გარდაქმნას და ხშირად ნივთის დაღუბვასაც კი.

განსაკუთრებით მავნე ზემოქმედებას არქეოლოგიურ ვერცხლზე აწარმოებს ქლორიონი, რომელიც გვევლინება ნიადაგის წყლების ძირითად — შემადგენელ ნაწილად. იგი ვერცხლთან შედის რეაქციაში და წარმოქმნის ქლორიან ვერცხლს, ე. წ. „რქა ვერცხლს“ — კერატგირიტს (ქიმიური შედგენილობა ამ მინერალისა 73,5 ვერცხლი და 24,7 სროქენტი ქლორი).

ვერცხლის გადასვლა ვერცხლის ქლორიდში ისეთი ძლიერი ცვლილებებით ხასიათდება, რომ მისი კუთრი წონა 10,5-დან 5,1-მდე ეცემა. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა არქეოლოგიური ვერცხლის ნივთი იფარება სპილენძის მარილებით. ეს პროცესი გამოწვეულია ვერცხლში ლიგატურის სახით შემავალი სპილენძის კოროზიით.



რადგან სპილენძი ვერცხლთან შედარებით უფრო აქტიური ლითონია, ამიტომ მოხვედბა ოკ არა სპილენძის შემცველი ვერცხლის ნივთი დამზანველ არეში. ლად სპილენძი იწყებს ჟანგვას; ამ დროს იწყება ფაზური გამოყოფა სპილენძის მელიც ლითონის სიღრმიდან ზედაპირისაკენ ინაცვლებს. ამის გამო ნივთი ზემოდან იფარება მწვანე ფერის სპილენძის მარილებით. ეს პროცესი ძირითადად დაბალსინჯიან ვერცხლის ნივთებზე შეიმჩნევა.

როგორც ლაბორატორიის თანამშრომლის თ. დვალის გამოკვლევებმა დაგვანახეს, უძველესი ვერცხლის ნივთები, დაწყებული მესამე ათასწლეულიდან დამთავრებული ანტიკური პერიოდით, ძირითადად მაღალსინჯიანებია: სპილენძის რაოდენობა მათში 5% -ს არ აღემატება; უფრო გვიანდელი ნივთები შეიცავენ სპილენძს დიდი რაოდენობით — ზოგჯერ 40 პროცენტზე მეტსაც კი.

არქეოლოგიური ვერცხლის ქიმიურ-მეტალოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მაღალსინჯიანი ვერცხლის ნივთები უფრო ექვემდებარება ქლორის ზეგავლენას.

სპექტრული და ქიმიური ანალიზებით დადგინდა, რომ ვერცხლი, რომელიც გამოყენებული იყო ანტიკურ პერიოდში შეიცავს: 0,15 — 0,64% -მდე ტყვიას, 0,1 — 0,36 პროცენტამდე ოქროს, ასევე რკინას, ცინკს, ალუმინს, სილიციუმს, ტიტანს, ბისმუტს და, სხვა ბუნებრივ მინარევს.

ვერცხლის მეტალოგრაფიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აქეოლოგიური ვერცხლის სტრუქტურა წარმოადგენს α Ag და α Cu პოლიედრებს, ხოლო სპილენძის დიდი რაოდენობით შემცველობისას (როცა მისი რაოდენობა 27% -ს აღემატება) ვეტმქტიკასაც კი.

ვერცხლის პოლიედრების წიბობზე გამოყოფილი კრისტალები უმეტეს შემთხვევაში: კოროზირებულია, რის გამოც გაწყვეტილია კავშირი α Ag პოლიედრებს შორის, რაც ლიასონს მსჯარუადობას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაში ნივთს უჩნდება ნაბზარები და თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები ლითონი შესაძლებელია მთლიანადაც კი დაიშალოს.


არქეოლოგიური ვერცხლის გაწმენდა ადრე, სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული მეთოდებით ხორციელდებოდა; მაგრამ ჩვენი ნივთებისათვის მან დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ გამოიღო.

ეს მეთოდებია: ქიმიური, ელექტროქიმიური, ელექტროლიტური, მექანიკური და თერმული.

ქიმიური მეთოდით გაწმენდისას გამოიყენება სხვადასხვა მჟავები და ტუტეები, კერძოდ, 5-15% -ანი გოკირდის მჟავა, 5-25% -ანი ჭიანჭველას მჟავა. რეკომენდირებულია აგრეთვე, კომბინირებული მეთოდით — ჭიანჭველას მჟავისა და სეგნეტის მარილის მორიგეობით, ან მარტო სეგნეტის მარილით გაწმენდა.

ტუტეებიდან იყენებენ კალიუმის და ამონიუმის ტუტეს. უფრო ეფექტურად მიმდინარეობს გაწმენდა ჯერ გოგირდის მჟავით და შემდეგ კალიუმის ტუტის ცხელი ხსნარით.

ელექტროქიმიური გაწმენდის დროს ნივთს ამუშავებენ ატომური წყალბადით, რომელიც უზრუნველყოფს ჟანგეულების აღდგენას მეტალურ მდგომარეობამდე. ამ მიზნით იყენებენ მეტალურ ცანკასა და კონცენტრულ გოგირდის მჟავას ან კალიუმის ტუტესა და ალუმინს.



ვერცხლის შიივები რესტავრაციის შემდეგ (ვანი, 1969 წ.).

Серебряные бусы после реставрации (Вани, 1969 г.).

თერმული დამუშავება გულისხმობს ნივთის გახურებას შესაბამის ტემპერატურამდე, რის შემდეგ ნივთს უბრუნდება მეტალური თვისებები-სიმტკიცე, პლასტიკურობა და სხვ.

ეს მეთოდი რეკომენდირებულია ალ. სკოტისა და მ. ფარმაკოვსკის მიერ. გახურების ტემპერატურაა 500-600°-ა.


ელექტროლიტური გაწმენდისას (კათოდური აღდგენა) — ელექტროლიტად იყენებენ 30% -იან ჰიანჭულმჟავას ან 20% -იან ნატრიუმის ტუტეს. კათოდად გვევლინება გასაწმენდი საგანი, რომელზეც ხდება წყალბადის გამოყოფა. აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ოთახის ტემპერატურაზე. დენის წყაროდ იღებენ დენის გამასწორებულს, რომელიც იძლევა 12 V და 1 A კვ. დმ-ზე.

ჩვენს ლაბორატორიაში შემუშავებულ იქნა არქეოლოგიური ვერცხლის გაწმენდა-გამაგრების ორიგინალური მეთოდი.

ექსპერიმენტისათვის მომზადდა სხვადასხვა ხსნარები, რომლებშიც თავსდება გამოსაცდელი ნიმუშები: სხვადასხვა სინჯის მეტალური ვერცხლის ნიმუშები და აგრეთვე. ფრაგმენტები არქეოლოგიური ვერცხლის ნივთებისა (ნაწილობოვ და მთლიანად გადასული ვერცხლის ქლორიდში).

კვლევის მიზანი იყო ვერცხლის ქლორიდის საუკეთესო გამხსნელის პოვნა. ასეთი აღმოჩნდა: ნატრიუმის სულფიდის ამონიუმის როდაიდის ხაჯიყოს ხსნარი, 10% -იანი პიპოსულუეატისა და 25% -იანი კალიუმის ტუტის ხსნარები, 15-25% -იანი ამონიუმის ტუტე და 30% -იანი ჰიანჭულას მჟავა.

ამ ხსნარებში თავსდება გამოსაკვლევი ნიმუშები 24, 48, 72 საათის განმავლობაში. სათანადოდ გარეკბილი და გაშრობილი ნიმუშები იწონებოდა. წონითი სხვაობით ისაზღვრებოდა მოცემული ნიმუშის ხსნადობა სათანადო გამხსნელში.




თხელფურცლოვანი ვერცხლის შივები რესტავრაციის შემდეგ (ვანი, 1969 წ.).

თხელფურცლოვანი ვერცხლისაგან დაშაბებული ვარდულები (რესტავრაციის შემდეგ).

Бусы из тонколистового серебра после реставрации (Вани, 1969 г.).

Розетки из тонколистового серебра после реставрации (Вани, 1969 г.).





ზემოჩამოთვლილი გამხსნელებიდან ვერცხლის გამხსნელად საუკეთესოდ გამოიყენება ამონიუმის როდანიდის ნაჯერი ხსნარი, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე სწრაფად ხსნის ვერცხლის ქლორიდს, არა აქვს სუნი, არ ორთქლდება, კანზე არ მოქმედებს, ადვილად იშოვება და იაფია.

არქეოლოგიური ნივთის დამუშავებამდე აუცილებელია თვისებითი ანალიზის გზით გაირკვეს კოროზიის სახეობა; მიკროსკოპულად მისი დაზიანების ხარისხი. იმ შემთხვევაში თუ კოროზიის ფენის ქვეშ დადგინდა ლითონის არსებობა, შესაძლებელია დამუშავების დაწყება.

ქიმიურ დამუშავებას, ჩვენი მეთოდის თანახმად, წინ უნდა უძღვეოდეს თერმული დამუშავება, რათა ლითონი გამაგრდეს და წინააღმდეგობა გაუწიოს ხსნართა წნევით ზემოქმედებას. საქმე იმაშია, რომ კოროზიის ფენის ქვეშ ხშირად არ ჩანს რეკრისტალიზაციით გამოწვეული ბზარები და ნივთი საკმაოდ კომპაქტურად გამოიყურება, ქიმიური დამუშავების დროს კი, როდესაც ნივთი ნაბზარებზე იშლება მისი ფორმის აღდგენა ძლიერ ძნელდება. ეს რომ არ მოხდეს, ქიმიური დამუშავების წინ ნივთი უნდა გახურდეს 450—500°-მდე — რეკრისტალიზაციის მოუღენის მოსახსნელად. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მისი დამუშავება. ამონიუმის როდანიდის ნაჯერი ხსნარის მოქმედება საათობით განისაზღვრება. გაწმენდა ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ხდება. დროდადრო ნივთი ირეცხება გამდინარე წყალში რბილი ჯაგრისით. თუ ვერცხლის ქლორიდი მთლიანად გაიხსნა, მანინ ნივთს რეცხავენ და ათავსებენ 2-3 საათით გამობდილ წყალში; წყალს ხშირად უცვლიან.

წყლიდან ამოღების შემდეგ ნივთს ათავსებენ ცივ მუფელის ღუმელში და ტემპერატურის თანდათანობით აწევით 1-2 საათის განმავლობაში ახურებენ 700°-მდე. ხშირია, როდესაც სამარხში აღმოჩენილი ნივთების არა თუ ტრანსპორტირება არამედ მისი მიწიდან ამოღებაც კი შეუძლებელია მათი სიმყიფის გამო; ამ დროს ნივთს ზიწავივ ახსავენ სპირტს და უკიდებენ ცეცხლს. ამ ოპერაციის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ახდენენ მის ტრანსპორტირებას ლაბორატორიაში საბოლოოდ დასამუშავებლად.

ზემოაღწერილი მეთოდით დამუშავდა 1964 წ. სოფ. ზღუდერთან აღმოჩენილი ვერცხლის ნივთები. სარეცლას ფეხების ვერცხლის გარსაკრავები არმაზიდან, თბილურცხოვანი ვერცხლისგან დამზადებული მძივები ძალზე დიდი რაოდენობით ვანიდან ვერცხლის ფიალები ს. არაგვისპირის სამაროვნიდან და სხვ. რომელთა უმრავლესობა ვერცხლის ქლორიდის სქელი ფენით იყო დაფარული და ძალზე მსხვრევადი იყო.

ჩვენს მიერ რესტავრირებული ვერცხლის ნივთების თარიღი ძვ. წ. V და ახ. წ. IV სს. მერყეობს.




ახალი სპეციალიზირებული ლაბორატორია

მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვა და მოვლა-პატრონობა, შთამომავლობისათვის მათი შენახვა, დღეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ არის მიჩნეული. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად მიმდინარეობს მათი კონსერვაცია და შეკეთება. მაგრამ ადევნიათ სამუშაოები გარკვეულ დროს მოითხოვს. ძეგლები დღანად ელიან თავიანთ რიგს, დროს კი თავისი გააქვს. შესაძლოა ხვალ-ხვდელ დღეებში და უკვალოდ გაქრეს ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში. ამიტომ გადაუდებელ საქმედ იქცა ხელოვნების ძეგლთა დროული ფიქსაცია, მათი აღბეჭდვა მაღალსარისხიან ფოტოფირზე.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზირებული ლაბორატორია, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ შეიქმნა თბილისში საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ სერგო ქობულაძის ინიციატივით.

ლაბორატორიის მიზანს წარმოადგენს ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა ძეგლის — არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ქვაზე კვეთილი რელიეფების, ოქრომჭედლობის ნიმუშების, ხელნაწერთა მინიატურებისა და ტექსტების, აგრეთვე არქეოლოგიური კვსპონატების ფოტოფიქსაცია, ფერადი სლaidებისა და შავ-თეთრი ნეგატივების დამზადება.

ლაბორატორიის მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — კედლის მხატვრობის ნიმუშების ფოტოგადაღებას. საქმე იმაშია, რომ კედლის მხატვრობა ხელოვნების ხვა ძეგლებთან შედარებით ნაკლებად გამძლეა და მას მეტი საფრთხე მოულის. ხელოვნების ამ დარგის ბევრმა ნიმუშმა ვერ გაუძლო ჭამთა სვლას და სამუდამოდ დაიკარგა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ კედლის მხატვრობის ძეგლებს მხატვრული ღირებულების გარდა აქვთ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. მათ შემოგვინახეს არაერთი ისტორიული წარწერა და ისტორიულ პირთა პორტრეტები. ფრესკები მდიდარ მასალას იძლევიან ქართული ტანსაცმლის ისტორიისათვისაც. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს გვეგმიანი და სისტემატური ფოტოფიქსაციის უდიდეს მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ დღემდე არსებული ფოტომასალა, რომელიც დაცულია სხვადასხვა დაწესებულებების ან კერძო პირთა ფოტოარქივებში, სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ მოთხოვნებს და არ შეესაბამება ფოტოტექნიკის დღევანდელ შესაძლებლობებს. ფოტოანაბეჭდების უმრავლესობა იფარგლება უმთავრესად შავ-თეთრი გამოსახულებით, რაც ცხადია, სანახევროდ უკარგავს მათ სამეცნიერო ღირებულებას. ამასთანავე აღნიშნულ მასალაში ყველაზე ნაკლებად არის წარმოდგენილი კედლის მხატვრობა, რაც ხელოვნების ამ სახის ნიმუშთა ფოტოფიქსაციასთან დაკავშირებული სიძნელეებით არც განპირობებული. კედლის მხატვრობა, ამგობს რა ნაგებობის ინტერიერს (ჩვეულებრივად ნაკლებად განათებულს), თავსდება რამდენიმე რეცისტრად მის კედლებზე. ცხადია, ასეთი ნიმუშების ფოტოგადაღება არ ხერხდება ხარაჩობისა და საგანგებო განათების გარეშე.



ახალ ლაბორატორიაში, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობს ლ. წიფოსანი, უკვე-
 ლა ეს პრობლემა გადაწყვეტილია თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ლაბორატორი-
 აღჭურვილია ტექნიკის უახლესი საშუალებებით. სპეციალური აპარატების საშუა-
 ლებით განისაზღვრება სლაიდის ხარისხი, იზომება განათების ფერადი ტემპერატუ-
 რა, რაც ფირმა „კოდაკის“ ფირის მონაცემების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ფე-
 რის ზუსტ გადმოცემას და ლაბორატორიის პროდუქციის მაღალხარისხოვნებას.

ჩამოყალიბდა გადამღები ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მაღალკვა-
 ლიფიცირებული სპეციალისტები—ო. ქობალიანი (ლაბორატორიის ტექნიკური ხელმძ-
 ღვანელი), მ. ცქვიტინიძე, გ. ჩირაძე, დ. გერსამია. ამა თუ იმ ობიექტზე მუშაობის და-
 წყებადღე ფოტოსპეციალისტები ო. ქობალიანის ხელმძღვანელობით ახდენენ გადაღე-
 ბის რეჟიმისა და გამომდგანების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებას. ასეთი მო-
 სამზადებელი სამუშაოები აუცილებელია ფერადი სლაიდებისა და შავ-თეთრი ანაბეჭ-
 დების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ლაბორატორიის განკარგულებაშია ასაწყობ ხარაჩოთა კონსტრუქცია, რომლის
 პროექტი ეკუთვნის ინჟინერ-კონსტრუქტორ ს. პირვეცოვს. ეს ხარაჩოები იძლევა სა-
 ფუკსაციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობას ყველაზე მაღალი ტაძრების გომ-
 ბათებში. ასაწყობ ხარაჩოთა სპეციფიკა მოითხოვს სათანადო გამოცდილებასა და
 საქმის ცოდნას. ამ სამუშაოს ასრულებს ლაბორატორიასთან არსებული შემონტაჟეთა
 ბრიგადა ვ. კასატკინის ხელმძღვანელობით.

ლაბორატორიაში მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული სამეცნიერო
 გეგმის მიხედვით. დამყარებულია კონტაქტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
 მის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან. საკონსულტაციო სამუშაოების
 ჩასატარებლად მოწვეულია წამყვანი სპეციალისტები. ლაბორატორიის მუდმივი სა-
 მეცნიერო კონსულტანტია პროფ. ს. ქობულაძე, კედლის მხატვრობის ნიმუშების ფო-
 ტოფიქსაციასთან დაკავშირებულ საკითხებს კონსულტაციას უწევს ხელოვნების ისტო-
 რიის ინსტიტუტის ფერწერისა და ქანდაკების განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცო-
 დნობის კანდიდატი თ. ვირსალაძე.

მეცნიერ-კონსულტანტების თანდასწრებით მიმდინარეობს მომავალი გეგმების
 შემუშავება, უკვე გადაღებული მასალის განხილვა. საგანგებო ხელსაწყობების საშუა-
 ლებით ამოწმებენ სლაიდის ხარისხს, წარმოებს მსჯელობა კომპოზიციის სიზუსტე-
 ზე. გადარჩეული მასალის საფუძველზე იქმნება ფოტოარქივი. საარქივო სისტემატი-
 ზაციას დიდი გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით ახორციელებენ ლაბორატორიის
 მეცნიერ-თანამშრომლები ლ. სიგუა და ნ. ყიფიანი.

ახლანან დასრულდა მუშაობა ფოტოალური ხანის ისეთ ძეგლებზე, როგორცაა
 ატენისა და მანგლისის ტაძრები. ფიქსირებულია ინტერიერის საერთო ხედვები, ტაძა-
 რსა კედლებზე შემორჩენილი მოხატულობა, ცალკეული სიუჟეტური კომპოზიციები და
 კომპოზიციათა ფრაგმენტები. ფირზეა აღბეჭდილი ყველა კვეთილი თუ ფრესკული
 წარწერა, აგრეთვე ნაგებობათა ფასადებზე არსებული რელიეფები.

ლაბორატორიის მიერ დამზადებული სლაიდები უკვე იყო დემონსტრირებული ქ.
 ბერგამოში (იტალია) ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სიმპო-
 ზიუმზე, აგრეთვე სამეცნიერო კონფერენციებზე მოსკოვსა და ლენინგრადში.

ზამთრის პერიოდში, როდესაც ძეგლებზე მუშაობა არ ხერხდება, ფოტოგადაღება
 მიმდინარეობს საქართველოს ისტორიისა და ქართული ხელოვნების მუზეუმებში.



ამჟამად, ნიკო ფიროსმანიშვილის ნამუშევართა აკადემიური გამოცემის მომზადების
ბასთან დაკავშირებით (გამოცემას ახორციელებს გამომცემლობა „ხელოვნება“), ლა-
ბორატორია ასრულებს საგანგებო სახელმწიფო დაკვეთას — აწარმოებს მხატვრის
დღემდე შემორჩენილი ყველა ნამუშევრის გადაღებას. გადაღებული იქნება, როგორც
მუზეუმის ფონდებში დაცული ტილოები, ისე კერძო პირთა კოლექციებში არსებული
ნამუშევრები, დაქაჩსული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

ლაბორატორიის მუშაობის უახლოესი გეგმა ითვალისწინებს ზემოკრიხის გლუ-
სიის, დავით გარეჯის მონასტრის, წალენჯიხის ტაძრის, ვარძიის ქვაბებისა და ამ
ნაგებობათა კედლებზე შემორჩენილი კედლის მხატვრობის ნიმუშების ფოტოფიქსა-
ციას.

ლაბორატორიაში დამუშავებული მასალა დიდად შეუწყობს ხელს ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტს, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს, აგრეთვე ცალკეულ მეც-
ნიერებს მათ კვლევით მუშაობაში. ლაბორატორია იქცევა უმთავრეს ბაზად ჩვენი
ქვეყნის ყველა გამომცემლობისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული
ხელოვნებისადმი მიძღვნილი ალბომებისა და მონოგრაფიების გამოცემით.





საქართველოს საერთაშორისო კონფერენციაზე

მსოფლიოს მუზეუმების საერთაშორისო საბჭო, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, იწვევს კონსერვაციის კომიტეტის საერთაშორისო კონფერენციას. 1975 წლის 13-20 ოქტომბერს, ვენეციაში შედგა კონსერვაციის კომიტეტის IV კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ოცმა საბჭოთა საპეციალისტმა, რომელთა შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი: აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან — ქიმიური ლაბორატორიის გამგე, რ. პახტაძე, და მეცნიერ მუშაკი ნ. იაშვილი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან — სარესტავრაციო განყოფილების გამგე, თ. თოდუა, ფოტოლაბორატორიის გამგე ი. ვილჟენდორფი და სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოდან თ. იაჭაშვილი.

საბჭოთა დელეგაცია 12 ოქტომბერს მოსკოვიდან მილანში ჩაფრინდა. იტალიაში ყოფნისას საშუალება მოგვეცა იტალიის მრავალრიცხოვან ღირსშესანიშნაობას გავეცნობოდით.

ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის ხელოვნების ნიმუშებმა: ვნახეთ სანტა მარია დე გრაცე, ლეონარდო და ვინჩის სახელგანთქმული „საიდუმლო სურობა“, სფორცის სასახლე და მუზეუმი, ლასკალას თეატრი.

იმვე დღეს, ე. წ. „შიური ავტოსტრადით“ ვენეციაში ჩავედით, სადაც სან მარია ზობენიკოს მოედანზე მდებარე მყუდრო სასტუმროში — „ალაში“ მოგვათავსეს ჩვენი ჯგუფი მონაწილეობას იღებდა კონფერენციის მუშაობაში, რომელიც სან ჯორჯო მაჯორის კუნძულზე მიმდინარეობდა. თავისუფალ დროს ვეცნობოდით ვენეციის ხელოვნების ნიმუშებს. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წმ. მარკოსის ტაძარმა, დოფების სასახლის ბრწყინვალე არქიტექტურულმა გადაწყვეტამ, გლორიოზამ და, საერთოდ, ვენეციის განუმეორებელმა სილამაზემ.

პადუეში ვნახეთ 1222 წელს დაარსებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი, რომლის კაპელაში დაცულია ჯოტოს მიერ შესრულებული კედლის მხატვრობის ბრწყინვალე ნიმუშები.

ფლორენციაში იტალიის აღორძინების ხანის ხელოვნების მრავალი ძეგლი ვნახეთ: სანტა ფრონის ბაზილიკა, რომელშიც დაკრძალული არიან გამოჩენილი ფლორენციელი მოქალაქენი: მიქელანჯელო, გალილეო გალილეი, როსინი და სხვ. ენახეთ მედიჩების კაპელა, სან ლორენცო, უფიცის სახელგანთქმული გალერეა, სადაც თავმოყრილია ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, კრანახის, დიურერის, რუბენის, ტიციანის ბრწყინვალე შედეგები.

ასიწამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, ქალაქი, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება, ბორცვზეა გაშენებული. მისმა საერთო იერმა, ვიწრო ქუჩებმა, არქიტექტურამ და საერთო გეგმარებამ, ჩვენი სიღნაღი მომაგონა. ასიწამი ვნახეთ სან ფრანცისკოს და წმ. კლარას ეკლესიები, რომლებშიც დაცულია XIII-XIV საუკუნეების გამოჩენილი ოსტატების — კავალინის, ჩიმაბუეს, ჯოტოს მხატვრობის ნიმუშები.



ატენის სიონი. „მაცხოვრის შობის“
ქვეშ მოქცეული წარწერა. საკონტრასტო
ფოტო.

Атени. Надпись под композицией
«Рождество Христово».
Контрольный снимок.


ატენის სიონი. „მაცხოვრის შობის“
ქვეშ მოქცეული წარწერა ულტრაიისფე-
რი ლუმინისცენციის შუქზე.

«Рождество Христово».
Снимок ультрафиолетовой
люминисценции.





საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა



ატენის სიონი. წარწერა სამხრეთის აფსიდაში, გამოვლენილი ლუმინისცენციით

Атени. Надписи в южной апсиде. Снимок видимой люминисценции.

ატენის სიონი. წარწერა სამხრეთის აფსიდაში, საკონტროლო ფოტო.

Атени. Надписи в южной апсиде. контрольный снимок.





ატენის სიონი. ლუმინისცენციით გამოვლენილი წარწერა.

Атени. Снимок видимой люминисценции.

მაგრამ იტალიის დირსშუაანიშნობათა შორის რომი კულმინაციას წარმოადგენდა. გავეცანიტ ანტიკურ რომს, მის მოედნებს, მრავალრიცხოვან ქანდაკებებს, პანთეონს; ვნახეთ ვატიკანის მუზეუმი, სიქსტის კაპელა, მიქელანჯელოს ბრწყინვალე ურესკებით. განუშეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა მიქელანჯელოს მოსემ, პიეტამ და საერთოდ, მაღალი აღორძინების ხანის დიდოსტატების ხელოვნებამ.

სან ჯორჯიო მაჯიორეს კუნძულზე, სადაც მიმდინარეობდა კონსერვაციის კომიტეტის IV კონფერენცია, ჩვენი დელეგაციის წევრებმა სხვადასხვა სექციაში წაიკითხეს მოხსენებები. საბჭოთა სპეციალისტების ყველა მოხსენებამ მაღალი შეფასება მიიღო.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 50 ქვეყნის 300 მონაწილე. ქართველმა სპეციალისტებმა შემდეგი მოხსენებები გააკეთეს: რ. ბახტაძის მოხსენება შეეხებოდა ვერცხლის ჭურჭლის აღდგენის საკითხს. ნ. იაშვილმა ისაუბრა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ხის გამაგრების საკითხებზე. თ. იაქაშვილმა ვარძიის ქვის ჯიშების გამაგრების მეთოდებზე მოახსენა კონფერენციის მონაწილეებს. თ. თოკუა შეეხო ბიჭვინტის მოზაიკის მოხსენისა და გამაგრების საკითხებს. ჩემი მოხსენება, რომელიც ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით გაფერმკრთალებული ფრესკული წარწერების გამოვლენისა და ფიქსაციის მეთოდებს შეეხებოდა, „კვლევის დაუზიანებელი მეთოდის“ სექციაზე წავიკითხე.



ატენის სიონი საკონტროლო ფოტო.

Атени. Контрольный снимок.

აღნიშნულ საკითხზე თითქმის ათი წელი ვმუშაობ. ამ დროის განმავლობაში, არაერთი გაფრმგრთალებული და ვიზუალურად უხილავი ფრესკული წარწერა თუ კედლის მხატვრობის თავდაპირველი ნიმუში გამოვავლინეთ, რასაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს ფეოდალური ხანის ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისათვის.

პირველი ექსპერიმენტული სამუშაო ატენის სიონში განვახორციელეთ, რომლის დროსაც მოპოვებულმა შედეგებმა დაგვარწმუნეს, რომ დაუზიანებელი მეთოდით კედლის მხატვრობის შესწავლას, მნიშვნელოვანი პერსპექტივა ესახებოდა.

ატენის სიონში მუშაობის დროს მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული ის თვალსაზრისი, რომ 1080 წლით დათარიღებული საქტიტორო წარწერა არ შეიცავს თარიღს და იგი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აქ ჩატარებულ სარესტავრაციო სამუშაოებზე გვაუწყებს ასევე საყურადღებო შედეგი მოგვცა დავით გარეჯის მრავალმთის ექსპედიციამ. უდაბნოს მთავარი ეკლესიის სა-დიაკენეში, ულტრაიისფერი სხივების შუქზე მკაფიოდ გამოვლინდა ვიზუალურად წყლად გასარჩევი ფრესკული წარწერა, რამაც არსებითად შეცვალა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული წაკითხვა. გარდა ამისა, ულტრაიისფერი სხივების შუქზე, გამოვავლინეთ და დავაფიქსირეთ ამავე ეკლესიის სადიაკენეს თავდაპირველი მხატ-



ვრობის იკონოგრაფიული სქემა, რამაც რეალური გახადა სპეციალურ ლიტერატურულ გამოთქმული თვალსაზრისის სისწორე.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ჩემი მოხსენება და მას მაღალი შეფასება მისცეს. საყურადღებოა, რომ ვიდრე მოსკოვიდან მილანში გავფრინდებოდი, კონსერვაციისა და რესტავრაციის ცენტრალურ სამეცნიერო კვლევით საკავშირო ლაბორატორიის სახელზე მოვიდა წერილი კანადიდან, რომელშიც ჩვენი ჯგუფის კოორდინატორი ფონ იმპოფი გვაუწყებდა იმ ქვეყნებისა და მეცნიერების შესახებ, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ვენეციის IV საერთაშორისო კონფერენციაში. ფონ იმპოფის წერილში მოტანილი იყო ამონაწერი მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს სხდომის ოქმიდან, სადაც ნათქვამი იყო, რომ ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით კედლის მხატვრობის შესწავლა ჯერ არავის არ განუხორციელებია და ამდენად, ჩემი მოხსენების მოსმენას დიდი ინტერესით ელოდნენ.

ჩვენს სექციაში არაერთი საყურადღებო მოხსენება იქნა წაკითხული, რომელთა შორის ჩემთვის საინტერესო იყო: პოლანდიელი მკვლევარის — დე ბურას მოხსენება, რომელიც დაზგურ ფერწერაზე ინფრაწითელი სხივების რეფლექტოგრაფიის მეთოდს შეეხებოდა. ასევე საინტერესო იყო შვედი დოქტორის ბერნ გალსტრომის მოხსენება თემაზე: „ულტრაიისფერი რეფლექტოგრაფიის გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებთა შესწავლისათვის“.

ბერნ გალსტრომი, რომელიც კარგად ფლობს რუსულ ენას, ძალზე დაინტერესდა ჩემი მოხსენებით და ამ თემაზე ბევრი ვისაუბრეთ. დოქტორმა გალსტრომმა საუბრის დროს მითხრა, რომ მსგავსი სამუშაო არავის შეუსრულებია რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მეტად რთული საქმეა.

ვენეციის IV საერთაშორისო კონფერენცია მეტად სახარგებლო იყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი სპეციალისტებისათვის, რადგან კონსერვაციის ამ მსოფლიო ფორუმზე არაერთი საყურადღებო ინფორმაცია მივიღეთ. ჩვენგან, საბჭოთა სპეციალისტებისაგან, ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო უცხოელმა სპეციალისტებმაც, რომელთა შორის, ჩემს მიერ ჩატარებული სამუშაოც იყო დასახელებული.



ანტიკური მცირე ფორმის საკურთხეველი

(ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალის მიხედვით)

ვანში, 1967 წლის გათხრების დროს. მეორე ტერასაზე აღმოჩენილ იქნა რთული აღნაგობის, რაღაც ქვის ორნამენტული ნატეხი, რომელსაც შემორჩენილი აქვს თასასუბური ნახევარსფეროს თათქმის მეოთხედი ნაწილი, სადაც ზეთს ასხამდნენ. სფეროს ზედაპირი საგრძნობლად მოჭკარტლულია. ზედაპირზე სადაც თასია ამოკვეთილი კუთხეში შემორჩენილია ერთი აკროტერი აშკარაა, რომ ასეთი აკროტერი ოთხივე კუთხეში იყო აღმართული. აკროტერის ქვევით, ორი საფეხურის სიბრტყე ზეზე ნაკვეთი სტილის ორნამენტით არის მორთული.

ნატეხის მიკრო აზომების და მხატვრული ნაწილის შესწავლამ საფუძველი მოგვცა ის ბორის და არმაზხევის ვერცხლის ლანგარზე, სამხვერპლო ცხენის წინ დადგმულ საკურთხეველსა და მიდიურ წარმოშობის ურმიის ტბის კლდეზე ამოკვეთილ საკურთხეველს გამოსახულებასთან შეგვედარებინა. ასეთი ფორმის საკურთხეველის გამოსახულება ელინისტურ-რომაულ სამყაროშიც არის ცნობილი.

აღდგენის შემდეგ გამოირკვა საინტერესო სტილისტური თავისებურებანი. ოთხივე მხრივ აღმართული აკროტერები მას ანიჭებს ელინისტური სტილის ელფერს, მაგრამ ქვევით ორ საფეხურზე ზეზე ნაკვეთი სტილის ორნამენტი სრულიად უცხოა ელინისტური სტილისათვის. ეს ხის ნაკვეთობის ორნამენტი, ქვაზე ამოჭრილი, დღემდე შემორჩენილია ქართულ ხალხურ ხელოვნებაში. ამ მცირე საკურთხეველის სახით ჩვენ გვაქვს საკულტო საგანი, რომელიც გავრცელებული იყო ალბათ, ანტიკურ კოლხეთში და შესაძლებელია იბერიაშიც.

1973 წელს ვანში პირველ ტერასაზე აღმოჩენილმა ელინისტური სტილის საკურთხეველმა დაუზიანებლად მოაღწია ჩვენამდე. მას შემორჩენილი აქვს ანტიკური საკურთხეველის ყველა სტილისტური დამახასიათებელი ელემენტი. საკურთხეველი განიჭრილია ზუსტად კუბიკური ქვის ბლოკიდან, ბლოკის ზომა 0,45 X 0,45 X 0,45 მ. ზედაპირზე ოთხივე მხრივ ამართულია აკროტერები, შუაში თასისებური ღრმულია, საკურთხეველის გვერდები პროფილირებულია.

ასეთმა აღმოჩენამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მცირე საკურთხეველის აღდგენის სისწორე.


→

1—2 საკურთხეველის ფრაგმენტი. 3. საკურთხეველის გამოსახულება ბორის ვერცხლია თასზე 4. საკურთხეველის გამოსახულება არმაზის ზევის ვერცხლის თასზე 5. საკურთხეველის გამოსახულება კიხკაანის (ირანის) კლდოვან აკლდამაზე. 6. აღდგენილი მცირე ფორმის საკურთხეველი. 7. დიდი ფორმის საკურთხეველი.


1—2. Облом обнаруженный на второй террасе в Вани. 3. Изображение алтаря на серебряной чаше из Бори. 4. Изображение алтаря на серебряной чаше из Армазехени. 5. Изображение алтаря на гробнице Кизкапане (Иран). 6. Реставрированный малый алтарь. 7. Алтарь обнаруженный на первой террасе в Вани.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՅՏՈՒՐՈՒՅՑՆԵՐԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ



CM



3.



4






5



6

20 CM



7

უფლისციხის ორსვეტიანი (თამარის) დარბაზი წარმოადგენს ამ უნიკალური კომპლექსის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ და საინჟინრო თვალსაზრისით საინტერესო ნაგებობას. დარბაზი ერთ დროს მთლიანად კლდეში იყო გამოკვეთილი და შუაში ქონდა ორი სვეტი. სამი ასეული წლის წინ დარბაზის წინა კედელი და სვეტები მორღვეულ იქნა, რის შედეგადაც ქვის ფილა, რომელიც გადახურავს დარბაზს (ზომებით 9,0X9,0 და სიმაღლით 2,0) მხოლოდ სამ მხარეზე აღმოჩნდა ჩამაგრებული. ეს იშვიათი მოვლენაა ქვის ნაგებობებში, როდესაც ქვის მთლიანი მასივი-ფილა, რომელიც კოჭური სტემით მუშაობს, გადახურავდეს ასეთ მალს. მხოლოდ შემთხვევამ, გამოწვეულმა ჟამთა სიაკით, მოგვცა ასეთი უნიკალური კონსტრუქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი მნახველი, რომელიც უახლოვდება დარბაზს და რომელმაც არ იცის ძეგლის ისტორია, მაშინვე აღიქვამს კონსტრუქციის განსაკუთრებულობასა და პროპორციების უნიკალობას.


მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა არსებული სახით უკვე რამდენიმე საუკუნეა დგას მის შესანარჩუნებლად გამაგრება აუცილებელი.

ამჟამად არსებობს გამაგრების ორი ვარიანტი: პირველი ვარიანტით გადახურვის ფილის გამაგრება ხდება ქვემოდან ლითონის მილების — დგარების და ლითონის კოჭების საშუალებით. ამ დროს დანერგული კედელი უნდა შეიცვალოს ოთხი-ხუთი ლითონის დგარით, ან დიდი სიმაღლის ლითონის კოჭით, რომელიც დაყრდნობილი იქნება ორ ლითონის დგარზე. ძველი სვეტების ნაცვლად გათვალისწინებულია დაიდგას ლითონის მილები.

მეორე ვარიანტი, დამუშავებული ჩვენს მიერ¹, ითვალისწინებს მზიდი რკინა ბეტონის კონსტრუქციის მოწყობას გადახურვის ზემოთ და ქვის ფილის შეკიდებას ამ კონსტრუქციაზე. გამაგრების პრინციპული სქემა ნაჩვენებია სურათზე. რკინა ბეტონის განივი კოჭი (1) უყრდნობა დარბაზის გვერდით კედლებს. განივ კოჭზე, რიგორც საყრდენზე, გადადის სამი გრძივი კოჭი, რომლებიც ცალი მხრით ჩამაგრებულია დარბაზის უკანა კედელთან მოწყობილ ბეტონის საპირწონეში, ხოლო მეორე მხარე წარმოადგენს თავისუფალ კონსტრუქციას. ფილა შეკიდება წარმოქმნილ მზიდ კონსტრუქციაზე არმატურის ღეროებით, რომლებიც ფილაში გაბურღულ ხვრელებში ჩამაგრდებიან საპეციალური ანკერებით.

გამაგრების ამ ვარიანტების შედარება გვიჩვენებს შემდეგს:

ლითონის მილების და კოჭების დაყენება დარბაზის შიგნით, პირველი ვარიანტის მიხედვით, ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელი და იაფია. ეს მისი უპირატესობაა, მაგრამ მისი განხორციელება, მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც, დაუკარგავს დარბაზს იმ შთამბეჭდავ სახეს, რომელიც მას ამჟამად აქვს. ამ დროს დაზიანდება დარბაზის ჭერის ქვის ჩუქურთმებიც. გარდა ამისა, გაურკვეველია თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი მეტად ხისტი ქვის ფილის და მეტად მოქნილი ლითონის კონსტრუქციების ერთობლივი მუშაობა. საბედისწერო გაკლენას ზომ არ მოახდენს ის ძალები, რომლებიც უნდა მოვდოთ ფილას, რათა გაეჭვდოთ ლითონის კონსტრუქციები მუშაობაში მათი შეყვანის მიზნით. მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვა-



უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზის
გამაგრების პროექტი.

План укрепления двухколонного
зала в Уплистике.



ღისწინება ამ შემთხვევაში მეტად ძნელია. თუ კი ლითონის კონსტრუქციას დაწინაურების
 გაქედვის გარეშე, ის უბრალოდ შეასრულეს ცუდი დეკორაციის როლს, დაწინაურების
 ციები, რომლებიც ლითონის კოჭების დატვირთვისათვისაა საჭირო, ბევრად აღემატე-
 ბა იმ დეფორმაციებს, რომლებიც საკმარისია ქვის ფილის ნგრევისათვის. ყოველ შემ-
 თხვევაში ამ ვარიანტის, როგორც მუდმივი ღონისძიების განხორციელებას, წინ უნდა უძ-
 ლოდეს დეტალური საანგარიშო დასაბუთება.

რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციის მოწყობა ქვის სახურავის ზემოთ შედარე-
 ბით ძვირია, შრომატევადია, რადგან ბეტონის მიტანა ამ უბანზე ძნელია. სამაგიეროდ
 ის სრულიად არ ცვლის ნაგებობის თანამედროვე შთამბეჭდავ სახეს, არ აზიანებს არც
 ერთ მის ნაწილს; საშუალებას იძლევა გადავცეთ მომავალ თაობებს ნაგებობა ისე, რომ
 არ დაუკარგოთ მას თავისი სახე გაძლიერების კონსტრუქცია არ შეცვლის არც დარბა-
 ზის ინტერიერს და არც ფასადს. ბანზე მოთავსებული კონსტრუქციები შეიძლება ნაწი-
 ლობრივ ჩაიჭრას და ჩაიშალოს ფილაში, ხოლო ნაწილობრივ დაიფაროს ადგილობრი-
 ვი ქვით. ფილის მზიდუნარიანობის გათვალისწინება ამ დროს საჭირო აღარ არის,
 რადგან ის შეკიდულია მრავალ წერტილში და, რომ დაიშალოს კიდევ ცალკეულ კუბე-
 ბად, მას არაფერი მოუვა.

1. კამლიერების ამ სქემის დამუშავებაში დიდი დახმარება გაკვიწია არქიტექტორმა და ხე-
 ლოვნებათმცოდნემ თ. ქარუმიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუძღვნი.

ექვსსუთხოვანი საბჭელ-კალოზი („კალენი“)
 ჩრდილოეთ უკრაინაში

სამეურნეო და სამეურნეო-საწარმოო ნაგებობანი წარმოადგენენ ხალხური ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ობიექტებს.

გლეხი კაცის ყველაზე დიდ ყურადღებას საცხოვრებელი სახლი და მისი თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით გალამაზება — გაუმჯობესება იპყრობდა. სამეურნეო ნაგებობათა ძველთაგანვე დადგენილი არქიტექტურული ფორმები კი საუკუნეთა მანძილზე უცვლელი რჩებოდა. მათ ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწიეს. სწორედ ამიტომ იმსახურებენ ისინი ხალხური ხუროთმოძღვრების მკვლევართა დიდ ყურადღებას. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს უკრაინელი საბჭელ-კალო, რომელიც კლუნის სახელითაა ცნობილი.

კლური (клубня*) ცალკე მდგარი ნაგებობაა, რომელსაც იყენებენ თივისა და ძნის შესანახად, გასალეწად, და გასანიავებლად. გეგმაში იგი სწორკუთხოვანი ფორმისაა. მასში თივისა და ძნის შესანახი ადგილები ცალკე ნაკვეთურებადაა გამოყოფილი, ცენტრი კი დათმობილი აქვს კალოს. მსგავსი ნაგებობანი უკრაინის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებში გვხვდება ელიფსისმაგვარი, ხოლო პოლესიეში კი — წრიული და ექვსკუთხოვანი ფორმისა. მას აგებდნენ ხის მორებისაგან, ძელური ან კარკასული კონსტრუქციით. კედლებიც წვეპლით იყო გამოწული და შემდგომ თიხით გალესილი.

ვ. სინინსკის, ხის ან ჩალის მრგვალი შენობები მიაჩნია პირველყოფილ მომთაბარეთა კულტურის მონაპოვრად.¹

თავის აზრს იგი ასაბუთებს წერილობითი მასალებითა და არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მომრგვალებული ფორმის სანემსტე ურნებით.

სამშენებლო ტექნიკის შემდგომი განვითარებისას გაჩნდა მათემატიკურად სრულყოფილი და მხატვრულად დასრულებული ფორმა ექვსკუთხოვანი კლუნისა — ზეინისებრი ძელური სახურავით. ვოლინისა და ჩერნიგოვის ჩრდილოეთ რაიონებში პირველად მათ არსებობაზე მიუთითა ფ. ვოლკოვმა². უკრაინის პოლესიეში ეს ნაგებობანი პირველად კ. მოშინსკიმ აღწერა 1920 წელს.

ასეთი ექვსკუთხოვანი კლუნის (საბჭელ-კალოს) ანაზომი, როგორც მხარის ს. სტარე სელოდან გამოაქვეყნა ზ. დმოხოვსკიმ. მრავალკუთხოვანი ფორმის კლუნები მეზობელ ოლევის რაიონში 1928-31 წწ. გამოიკვლია ს. ტარანუშენკომ³.

როგინშჩინის ს. დროზდინში ასეთი კლუნები, ჯერ კიდევ, 1960 წ. არსებობდა⁴ თანამედროვე სოფლებში ფართოდ გაშლილ სარკონსტრუქციო ღონისძიებათა განხორციელების გამო მსგავსი ნაგებობანი სრულიად გაქრა.

ს. ტარანუშენკომ ანაზომების ანალიზის შედეგად დაადგინა გარკვეული კანონზომიერებანი ამ ნაგებობათა მშენებლობისა და ადგილზე მორგებაში, გამოავლინა რთულ კონსტრუქციულ გაანგარიშებათა არსებობა.

კლუნებს აგებდნენ მთლიანი, ან შუაზე ნაპოზი მორებისაგან, ძელებისაგან. კუთხეებს აერთებდნენ უბრალო ჭედობით, ხურავდნენ პორიზონტალურ — გვირგვინული

* ვლ. დაღის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით клубня—рига, молотильный сарай, мятлиница, пелевня... (მოარგმნელის შენიშვნა).



სისტემის პირამიდული სახურავით. გადახურვის ყოველი რიგის ძელი წინასთან შედარებით უფრო მოკლე იყო, რის გამოც სახურავი ზემოთკენ ვიწროვდებოდა. გადახურვის ამ კონსტრუქციას რუსეთში ეწოდებოდა «Крыша костром». იგი გავრცელებული იყო სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში; სახურავი იფარებოდა ორი რიგი ყავრით ან ჩალით.

კ. მოშანსკი სახს უსვამს მნიშვნელოვან გარემოებას; სტარე სელოში (როვნენში-ნა) შემორჩენილი ყოფილა ექვსკუთხოვანი გვემის რამდენიმე ძველი სახლი („ხატა“), უჭერო კორიზონტალურ გვირგვინული გადახურვით. მ. დრაგომანოვს⁶ მიაჩნია, რომ საცხოვრებლის ზოგიერთ ძველ ტიპებს მოსახლეობის კულტურული განვითარების პროცესში სამეურნეო დანიშნულება ეძლევათ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლატვიელების საცხოვრებელი რიგები, რომლებიც XIX საუკუნიდან გამოიყენება მხოლოდ მარცვლეულის გასაშრობად და გასალეწად.

ძელური გვირგვინული სახურავი მნიშვნელოვანი ელემენტია უკრაინის მონუმენტური ხერობის ძეგლებსა. იგი წარმოადგენს ჩვეულებრივ პირამიდულ, ან საფეხურებად დანაწევრებულ, ფორმის გადახურვას. («с заломами»)⁷.

მსგავსი ცენტრულ-გვირგვინული სისტემით იხურება ძველი ქართული საცხოვრებლის ტიპი — დარბაზი. უკრაინული ექვსკუთხოვანი კლუნებისაგან განსხვავებით, დარბაზი გვერდში ოთხკუთხედს წარმოადგენს და მრავალკუთხოვანი ფორმა მხოლოდ ნათ პირამიდულ სახურავებს („გვირგვინებს“) ქმნდათ. ეს უკანასკნელი ემყარებოდა თავსებებს, რომლებიც ხშირად სპეციალურ ბოძებზე იყო დაყრდნობილი. დარბაზის გადახურვა გამოყენებულია, აგრეთვე, როგორც საშუა და ბოლის ასახველი კონსტრუქცია.

კლუნებში აღსანიშნავია ნაგებობის წახნაგთა შეთანადება სახურავის წახნაგებთან. გადახურვა აქ კედლების ძელური წყობის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.


კლუნების მოცულობითი გადაწყვეტა გამართლებულია მათი დანიშნულებით (მაგ. სორბლეულის ლეწვა-განიავება დიდ ფართობს მოითხოვს).

ცენტრულ-გვირგვინულ გადახურვათა ძველთაგანვე გავრცელებაზე საქართველოში მეტყველებს უკანასკნელი წლების გამოკვლევები. ლ. სუმბაძეს მიაჩნია, რომ ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური სახლი წარმოადგენს დარბაზის პროტოტიპს⁸ ეს აზრი მას აქვს დასაბუთებული და ეჭვს არ იწვევს.

წერილობითი საბუთები მსგავსი კონსტრუქციების გამოყენების შესახებ უკრაინაში ჯერ არაა გამოვლენილი. გადახურვის ეს წესი ფართოდაა გამოყენებული XVI-XVII საუკუნეების დღემდე მოღწეულ ეკლესიებში. აქედან ცხადია, რომ გადახურვას ეს კონსტრუქცია აქ ძველთაგანვე კარგად იყო ცნობილი და განვითარებული.

ძელური (გვირგვინული) უჭერო გადახურვა ძველ დროში მეტად ფართოდ იყო გავრცელებული. იგი გამოიყენებოდა ოსების, სომხების, ყარაბაღელების, ავღანების, ტაჯიკების, თურქებისა და ეთიოპიის ზოგიერთი ტომების საცხოვრებელ ნაგებობებში. აქედან ამკარა ხდება, რომ ასეთი გადახურვის გავრცელება წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის მქონე მოვლენას. მხოლოდ იგი სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა შეჩინილი. ლ. სუმბაძეს მიაჩნია, რომ ძელური გადახურვის წარმოშობა არ უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ ერთ ადგილთან (და შეიძლება მხოლოდ ერთ ეპოქასთანაც).

1. ექვსკუთხოვანი კლუნის გადაჭურვა შიგნიდან. სოფ. სტარესელო, როვენის ოლქი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

Перекрытие шестиугольной клуни. С. Старе-Село Ровенской области.

2. კლუნი სოფ. დროზდინიდან, როკიტნოვის რაიონი, როვენის ოლქი.

Шестиугольная клуня. С. Дроздин, Ровитновский р-н Ровенской области.



ამ საკითხის საბოლოო გარკვევა შოითხოვს ხალხური მშენებლობისა და ანალოგიური არქიტექტურული ფორმების ღრმა შესწავლას ფართო ეთნოგრაფიული მასალათა გამოყენებით.



3. კლუნის გადახურვის კუთხე შინი-დან. სოფ. სობიჩინი, ვიტომირის ოლქი.

Угол перекрытия клуни.
С. Собычин Житомирской области.

4. კლუნის გადახურვის დეტალი გარედან. სოფ. სობიჩინი, ვიტომირის ოლქი.

Деталь перекрытия клуни.
С. Собычин, Житомирской области.
მთარგმნელის შენიშვნა (ლ. სუმბაძე)

არქივ დანილიუკის სტატიაში წარმოდგენილი საბჟელ-კალოები — «კლუნები» თავის გადახურვებით ძველი ქართული დარბაზული გადახურვების მეტად ჩნიშვნელოვან პარალელს წარმოადგენს. სურათებზე წარმოდგენილი კონსტრუქციები ზუსტად იმეორებს ქართული გვირგვინის სტრუქტურას. სურ — 3-ზე მოცემული გადახურვა — კოლხური სახლის გვირგვინია ვიტრუვიუსის აღწერით (ძვ. წ. I ს.), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მოცემული გადახურვა ექვსკუთხოვანი ფორმისაა და არა ევდრატული. ქელები აქაც ერთმანეთთან უკლებოდ არიან დადამშული, ისევე, როგორც ვიტრუვიუსის ტრაქტატში და კოლხური სახლის ჩვენს მიერ შესრულებულ ილუსტრაციაშია მოცემული, რაც ზოგიერთ მკვლევარს დაუჯერებლად ეჩვენებოდა. (ის. მაცნე» № 4, 1968 გვ. 206-210.

ამგვარად გვირგვინული გადახურვების ვაერცელების დამაპზონს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რაიონი შეემატა, სადაც არაა გამორიცხული, რომ თავდაპირველად ეს ნაგებობები საცხოვრებლებს წარმოადგენდა.

1. В. Свичинский, «Гуцульский оседок», Львов, 1930.
2. Ф. Волков, «Этнографические особенности украинского народа» в книге «Украинский народ в его прошлом и настоящем, Петроград, 1916.
3. С. Таранушенко «Клуни украинского Полесья», «Народное творчество и этнография», № 3, 1968.
4. М. Ломова, П. Жолтовский, М. Козакевич, «Разведывательная этнографическая поездка на Украинское Полесье», Сов. Этнография» № 4, 1953 г.
5. А. Бежкович и др. «Хозяйство и быт русских крестьян», М., 1959 г.
6. «Записки Юго-Западного отдела Русского географического общества», т. 2, к. 1874—1875, стр. 35—36.
7. М. Драган, Украинские деревянные церкви» ч. I 1937.
8. Л. Сумбадзе «Колхидское жилище по Витрувию, «Архитектурное наследство» № 11, 1958.

**კომპოზიციის აბაზის კანონზომიერებაანი ქართულ
ხუროთმოძღვრებაში**

(ადრეშუასაკუნეების პერიოდი — IV-VI სს.).



ქართული ხუროთმოძღვრება უძველესი დროიდან ხასიათდებოდა ფორმათა ქარ-
მონიული წყობით და დახვეწილი პროპორციებით, რომელთაც საფუძვლად ედო გარ-
კვეული კანონზომიერებანი.

ამ კანონზომიერებათა შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა აკად. ივ. ჯავა-
ხიშვილი: „ქართული ხუროთმოძღვრების ნაგებობათა ზოგადი და თითოეული ცალ-
კეული ნაწილის პროპორციების, სიმეტრიისა და შეფარდებების მათემატიკური ფორმუ-
ლებიც... თუ შესწავლილი არ გვექნება, ძველი, ამ დარგის ხელოვნების სათანადო სი-
ღრმით შეფასებაც შეუძლებელი გახდება და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების გან-
ჯიორებისათვისაც მტკიცე საფუძველი უამისოდ ტყუილი მცნება იქნება“.¹ მათმა შეს-
წავლამ ჩვენი აზრით იგივე ადგილი უნდა დაიკაოს ქართულ ხუროთმოძღვრებაში
როგორც მისი განვითარების ისტორიულ-მხატვრულმა მხარეებმა. ჩვენი შეხედულებით
ეს არის რგოლი, რომელიც არა გვაქვს ქართული ხუროთმოძღვრების ყოველმხრივი,
კომპლექსური შესწავლის მთლიან ჯაჭვში.

აქ გაკეთებულია ცდა ამ საკითხის შესწავლისა ადრეშუასაკუნეების პერიოდის
ქართულ ხუროთმოძღვრებაში, როცა აგებული იქნა პირველი ძეგლები ცენტრალურ-
გუმბათოვანი თემისა, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს შემდგომი ქართული მო-
ნუმენტური არქიტექტურის განვითარებისათვის. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრების უძ-
ველეს ნიმუშებად (რომლებიც შემოგვრჩა თავის პირვანდელ ფორმებში) ითვლება,
როგორც მიუთითებენ გ. ჩუბინაშვილი² და ვ. ბერიძე³ ტერემის ტიპის პატარა სამლოც-
ველოები (V ს.) და ზეგანი (V ს.), ხოლო მათ შემდეგ მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი
(VI ს.), იდლეთი (VI ს.), შიომღვიმის მონასტერი (VI ს.), იყალთოს მცირე ტაძარ-
ი (VI ს.) ძველი გავაზი (VI ს.) და ნინოწმინდის კათედრალი (VI ს.)

ამ ძეგლების კონსტრუქციული თანმიმდევრობა ზეგანის ძეგლის შემდეგ, ზუსტად
არ არის დადგენილი ამიტომ, ამ პერიოდის, როგორც ყველა ცალკეული ძეგლის, ასე-
ვე მთლიანობაში განსაკუთრებულობის გამოვლენისათვის, გ. ჩუბინაშვილი გვიჩვენებს
განვიხილოთ ისინი წინასწარი, ტიპოლოგიური დაჯგუფების შემდეგ, აქედან გამომდინა-
რე შემოჩამოთვლილი ძეგლები დაყოფილია ორ ტიპოლოგიურ ჯგუფად: ერთკონქიანი
ბი — ტერემი, (მართალა კონქი არ აქვს, მაგრამ გ ჩუბინაშვილი მასაც მიაკუთვნებს
ცენტრალურგუმბათოვან ძეგლებს)⁴, ზეგანი, მცხეთის მცირე ჯვარი, იდლეთი, შიომ-
ღვიმე და იყალთოს მცირე ტაძარი და ტეტრაკონქები: ქაშეთის ტაძარი, ძველი გავა-
ზი და ნინოწმინდა. აქ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ პირველი ჯგუფის ძეგლებს.



როგორც ადრეჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს⁵ ქართულ ხუროთმოძღვრე-
ბაში კომპოზიციის აგების კანონზომიერებებს საფუძვლად ედო მოდულური, უფრო
ზუსტად, ორმოდულიანი სისტემა, რომელშიც ერთი ე. წ. დიდი მოდული (პირობი-
ცად აღნიშნული „M“-ით), იყო კომპოზიციური ე. ი. შენობის კომპოზიციური




ნახ. 1. კერემი.

Чертеж 1. Череми.

სტრუქტურის დამახასიათებელი, ხოლო მეორე ე. წ. მცირე მოდული „თ“ სამშენებლო. ეს უკანასკნელი რეგლამენტირებას უწევდა სამშენებლო-კონსტრუქციული ელემენტების ზომებს (კედლის და საყრდენების სისქეს და ა. შ.) პირველ — დიდ მოდულად მიიღებდნენ ძეგლის კომპოზიციის ძირითადი ელემენტის გუმბათქვეშა კვადრატს, რაშიც ვრწმუნდებით გ. ჩუბინაშვილის სიტყვებიდან, «Основные массы храма связаны с Центральным квадратом, которые определяет их размеры и связь распределения согласно плану»⁶. მეორე მცირე მოდულად მიიღებდნენ, იმ დროს არსებულ, სივრცის საზომთა ძირითად ერთეულს „ადლს“ (მეტრულ სისტემაში 0,96-1,02 მ-ის ტოლს). მასთან ერთად გამოიყენებოდა „წყრთა“ (0,48-0,52 მ) და „ციდა“ (0,16-0,17 მ). მათი არსებობა საქართველოში დადასტურებუ-



ნახ. 2. ზეგანი.



Чертеж 2. Зегани.

ღია სხვადასხვა შრომებში, ამასთან თუ მცირე მოდული ყოველთვის უცვლელი იყო, დიდი მოდული ყველა ძეგლისათვის მიიღებოდა თავისი. მისი ზომა დამოკიდებული იყო როგორც კომპოზიციურ მოსაზრებებზე (თუ რა საერთო ზომების ძეგლი სურდათ ავევთ) ასევე, კონსტრუქციულზე (გარკვეული დიამეტრის გუმბათის ამოყვანის შესაძლებლობაზე ამ პერიოდში). ორივე მოდული ერთმანეთთან ორგანულად იყო დაკავშირებული.

ჭერეში მინიატურული სამლოცველო იყო, სადაც მხოლოდ მღვდელი შედიოდა სალოცავად, საღბი კი გარედან უსმენდა; მისი შიდა მოცულობა წარმოადგენდა კვადრატულ სივრცეს, დახურულს გუმბათოვანი კამარით და ფართოდ გახსნილ ოთხივე შხარეს (ნახ 1). გარე ფორმები გამომდინარეობდა უშუალოდ შიდა სივრცისაგან და გადახურული იყო ორკალთიანი სახურავით, რომლის კეები მიმართული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ.

ამ პატარა და უბრალო ნაგებობაში უკვე შეიმჩნევა კომპოზიციის აგების გარკვეული კანონზომიერებანი, რომელიც ასახვას პოულობს, ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებაში. კერძოდ აქ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხუროთმოძღვარმა თამამად გამოიყენა კვადრატული 1:1 თანაზომიერების ხერხი, როგორც შიდა აგებისას, ასევე გარე კომპოზიციაში, რაც განპირობებული იყო, კომპოზიციურ-კონსტრუქციული გადაწყვეტით. კომპოზიციურად კვადრატულობა იძლეოდა სიდინჯისა და მონუმენტურობის შეგრძნებას, კონსტრუქციულად კი ქმნიდა საშუალებას შიდა სივრცის გადახურვისა გუმბათოვანი კამარით, ტრომპების საშუალებით.

ზეგანი, როგორც გვემარებთ ისე მოცულობით წარმოადგენს უკვე ნათლად გამო-
 ხატულ ჯვარისებრ კომპოზიციას (ნახ. 2). მისი შიდა მოცულობა აქაც წარმოადგენს
 კვადრატულ სივრცეს, დავვირგვინებულს უკვე ყელიანი გუმბათით (თუმცა ჯერ უნდა
 მიტული ფორმის) და ოთხივე მხრიდან (ჯვარის მკლავების სივრცეებისაკენ) ფარ-
 თოდ გახსნილს. აქ ალბათ ძნელი არ არის შევამჩნიოთ გარკვეული შემკვიდრეობა ჰე-
 რემის შიდა სივრცის კომპოზიციისა, როგორც საწყისი პირვანდელ ელემენტისა ამ თე-
 მაში.

ზეგანის ხუროთმოძღვარი, წინდაწინ მოსწორებულ მოედანზე (რასედაც მიგვი-
 თითებს ძველი ქართული ტერმინი — „ქუეყნისა დავაკეზაი“) აწარმოებდა გვემის და-
 კვალვას ნატურალურ ზომებში, რადგან ამ დროს ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ არ
 შეუძლოთ ნახაზის აბსტრაგირება შენობისაგან. თავდაპირველად იგი კვალავდა შენო-
 ბის ღერძებს ქვეყნის მხარეების მიხედვით, რომელთა გადაკვეთაზეც სიმეტრიულად
 დაქონდა შენობის მთელი კომპოზიციის ამოსავალი ელემენტი — გუმბათქვეშა კვად-
 რატი, რომლის გვერდი იყო $M = 1\frac{1}{4}m$ (1,22 მ). ამის შემდეგ, ამ დიდ კომპოზი-
 ციურ მოდულთან თანაზომიერებით აწარმოებდა კვადრატის ოთხივე მხარეს ჯვრის
 მკლავების დაკვალვას, რომლებსაც აკეთებდა სიგანი კომპოზიციური მოდულის M
 -ის (1,22 მ), ხოლო სიღრმით $\frac{3}{4}M$ -ის (1,02 მ) ტოლს. ამით იგი იღებს შენობის
 შიდა მოცულობის გვემას, რომლის სიგრძე და სიგანე თანატოლია ე. ი. იღებს კვად-
 რატულ თანაფარდობაში ზომით $2\frac{3}{4}M$ (3,28 მ). შემოფარგლა რა ეს შიდა სივ-
 რცის გვემილი $\frac{2}{3}M$ -ის სისქის კედლისა, გარე ფორმებშიც იღებს კვადრატულ თანა-
 ფარდობას, გვერდს ზომით $4M$ (4,59 მ).



გვემის „დაბადების“ შემდეგ როგორც ამბობს დ. ბარბარო, ხდება შენობის
 „ზრდა“ «Оно должно отвечать плану, ибо вещь рождающаяся и вещь
 растущаяся, суть одно и то же?».

მაგრამ, ვინაიდან, ვერტიკალური კომპოზიციის აგება სივრცეში იმავე მეთოდე-
 ბით, როგორც გვემისა მიწაზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ამიტომ ხუროთმოძ-
 ღვრები იძულებული იყვნენ მიემართათ უკვე არსებული გვემის ძირითად სიდიდეებთან
 თანაზომიერების ხერხისათვის მოდულური სისტემის გამოყენებით. ასე მაგალითად,
 ზეგანში აატაკიდან გუმბათის დასაწყისამდე შიდა სიმაღლეს, იღებს შენობის შიდა სივ-
 რძის—ე. ი. $2\frac{3}{4}M$ (3,30 მ) ტოლს, ხოლო გარედან მთელი შენობის სიმაღლეს სახავს
 გარე სიგანის ე. ი. $4M$ -ის (4,74 მ) ტოლს—ამის შემდეგ ხუროთმოძღვარი უბრალო
 არითმეტიკული გაანგარიშებით იღებს, თუ რა სიმაღლის უნდა იყოს გუმბათი, ამისა-
 თვის შენობის მთელ სიმაღლეს აკლებს სახურავის სისქეს და ზომას იატაკიდან გუმბა-
 თის დასაწყისამდე, რის შედეგადაც, გუმბათის სიმაღლეს იღებს $\frac{3}{4}M$ -ის (0,88 მ.)
 ტოლს.

ამრიგად, ჩვენ აქ ვხედავთ კანონზომიერებათა გარკვეულ შემკვიდრეობას მოდუ-
 ლური სისტემის გამოყენებით, მაგრამ უკვე ხარისხობრივად ახალ, გუმბათთან კომ-
 პოზიციისაში.

მცხეთის ჯვარის მცირე ტაძარი, (ნახ. 3) როგორც კომპოზიციურად, ისე სამშენებ-
 ლო ხარისხით წარმოადგენს შესამჩნევად წინ გადადგმულ ნაბიჯს, (თუ არ ჩავთვლით იმ
 ფაქტს, რომ აქ არ გვაქვს კომპოზიციის ძირითადი ელემენტი-გუმბათი, რომელიც
 უკვე შეიქმნა ზეგანში).

ხუროთმოძღვარი აქ იმავე თანმიმდევრობით მოსწორებულ მოედანზე აწარმოებს
 შენობის ღერძების დაკვალვას ქვეყნის მხარეების მიმართულებით, რომლებზედაც სი-



ნახ. 3. მცხეთის ქვანთ. მცირე ტაძარი.

Чертеж 3. Мцхета. Джвари.
Малый храм.

მეტრიულად ათავსებდა შენობის ამოსავალ ელემენტს-გუმბათქვეშა კვადრატს, რომლის გვერდი ტოლი იყო $M=3m$ (3.03 მ). ამის შემდეგ აკეთებს მკლავებს სივრცით M — ის ტოლს, ხოლო სიღრმით შეწყვილებულად ერთნაირს: ჩრდილო-სამხრეთის მკლავებს $1,5 M$ ტოლს. (0,62 მ). აღმოსავლეთ-დასავლეთის მკლავებს $2M$ ტოლს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მკლავს $2,5 M$ (1,23 მ). ამის შემდეგ აღმოსავლეთის მკლავს ადგამს ნახევარწრიულ აბსიდს (კვადრატისგან გადასასვლელი ბემებით), რის გამოც იგი იღებს გუმბათქვეშა კვადრატისადმი ასიმეტრიულ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს. (ნახ. 3)

ვერტიკალური მოცულობების აგებისას, თუმცა არ არის არაფერი ახალი (რადგან ნაგებობა უგუმბათოა), მაგრამ მაინც არის გარკვეული მემკვიდრეობა კანონზომიერებისა, რაც კერძოდ გამოიხატა კვადრატული შეფარდებების გამოყენებაში შიდა მოცულობის აგებისას.

ამრიგად, ჩვენ აქაც ვხედავთ მოდულური სისტემის გამოყენების ხერხებს, რომლებიც არქიტექტურული ფორმების დახვეწასთან ერთად უფრო ლოგიკური და გამჭვირვალე ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ, იდლეით შესრულებულია შედარებით დაბალ მხატვრულ და სამშენებლო დონეზე, ვიდრე ჯვარის მცირე ტაძარი, ის წარმოადგენს თვალსაჩინო ნაბიჯს ამ თემის კომპოზიციის ჩამოყალიბებასა და ფორმირების საქმეში. აქ ჩვენ პირველად ვხედავთ, როგორც შიგა, ისე გარე მოცულობებში, მთელი სიძლიერით გამოკვეთილ გუმბათს (ნახ. 4). აქაც ხუროთმოძღვარი აგებს რა გუმბათქვეშა კვადრატს, გვერდებით $M-3m$ (3,0 მ) შემდეგ მის ოთხივე მხარეს კვლავს შეწყვილებულად ერთნაირ მკლავებს აღმოსავლეთ-დასავლეთით აკეთებს სიღრმით $1/2 M$ (1,45 მ და $1/2 M$ (1,45 მ) ხოლო ჩრდილო-სამხრეთით $1/2 M$ (1,14 მ) ტოლს.

როგორც ჩანს თანდათან ძლიერდება აღმოსავლეთ-დასავლეთით ღერძების გაბატონებული როლი ძველის კომპოზიციაში, რაც შემდეგში უფრო გამოკვეთილად გამოიხატება.

ვერტიკალური მოცულობების აგებისას, ხუროთმოძღვარი იცავს კანონზომიერებას, რომ ყველა ძირითადი სიდიდე თანაზომიერი იყოს უკვე არსებული გეგმის სიდიდეებისა. კერძოდ აქ, შენობის მთელ შიდა სიმაღლეს უტოლებს მთელ შიდა სიგომბს. გუმბათის სიმაღლეს მისავე დიამეტრს; ხოლო გარე მთლიან სიმაღლეს — გარე მთლიან სიგანეს. როგორც ვხედავთ, თანაზომიერია არა შემთხვევითი, არამედ ერთმანეთთან ორგანულ კავშირში მყოფი სიდიდეები, რომლებიც აღიქმებიან ერთ ნოლიანობაში.

პირველი თანაზომიერების განსაზღვრისას ხუროთმოძღვარი ეყრდნობა უკვე დასახულ ტენდენციას, რომ შეფარდება შენობის შიდა სიგომბისა შიდა მთლიან სიმაღლესთან თანდათან მცირდებოდა სანამ შემდგომში არ მიაღწევდა კვადრატულ თანაზომიერებას. ასე მაგალითად, თუ ზეგანში ის ჯერ კიდევ ტოლი იყო $1:1,50$ (3.28 4,18 ნ.), იდლეით უკვე $1:1,35$ (6.0:8,17) შიომღვიმეში აკეთებენ $1:1,07$ 12,77:13,70 მ) ჯვარის დიდ ტაძარში უკვე აღწევს თავის კლასიკურ გამოსახულებას $1:1$ (20,49:20,38).

ამ ტენდენციიდან გამომდინარე, იდლეის ხუროთმოძღვარი მთელ შიდა სიმაღლეს სახავს $3M-1/2m$ (8. 17 მ) ტოლს.

რაც შეეხება მეორე თანაზომიერებას, აქ უკვე, როგორც ამბობს გ. ჩუბინაშვილი, „გუმბათის სიმაღლის განსაზღვრისათვის, უკვე უძველეს ნაგებობებში იყენებდნენ მის ფარდობას დიამეტრთან.“ და იქვე აგრძელებს „ამ შემთხვევაში (წრომში— პ. მ.). —




Рис. 4

ნახ. 4. იდლეთი.

Чертеж 4. Идлети.



გუმბათის სიმაღლე, ე. ი. მანძილი გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე თაღის წვეროდან გუმბათოვანი კამარის მწვერვალამდე ტოლია გუმბათის დიამეტრისა¹⁸. ეს კანონზომიერება, ჩვენი აზრით, ჩამოყალიბდა უკვე იდლეთში, სადაც გუმბათის მთელი სიმაღლე (ყველთან ერთად) ტოლი არის თავისივე დიამეტრისა ე. ი. M -ისა (2,93 მ).

შესამე თანაზომიერებას კი ოსტატი ადგენდა ისევ კვადრატული კანონზომიერების თანახმად, რის მიხედვითაც მთელ გარე სიმაღლეს მთელი გარე სიგანის ტოლად სახავდა ე. ი. $2M + 1/3m$ (7.22 მ) ტოლს.

დასახა რა შიდა სივრცეში ორი ძირითადი ვერტიკალური სიდიდე, მათი საშუალებით ხუროთმოძღვარი უბრალო არითმეტიკული გამოანგარიშებით საზღვრავს კიდევ ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან სიდიდეს შენობის აგების პროცესში-გუმბათქვეშა თაღების საწყისამდე სიმაღლეს, რისთვისაც შენობის მთელ შიდა სიმაღლეს აკლებდა გუმბათისა და თაღების სიმაღლეს (უკანასკნელთა დიამეტრები უკვე გვემიდან იყო მისთვის ცნობილი). ამრიგად, ეს სიმაღლე მიიღო $M + 1/2m$ (3.50 მ) ტოლი. დასახა რა წინდაწინ ყველა ძირითადი სიდიდე, ხუროთმოძღვარი აგებდა ვერტიკალურ ფორმებს გვემასთან მჭიდრო თანაზომიერებაში.

საერთოდ, იდლეთის ადგილი და მნიშვნელობა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში კარგად გვიჩვენა თავის ნაშრომში ვ. ცინცაძემ¹⁹ სადაც ისტორიულ-მხატვრულ ანალიზთან ერთად, იგი აკეთებს აგრეთვე გარკვეულ პროპორციულ ანალიზსაც.

შიომღვიმის ტაძარი, როგორც გენეტიკურად, ასევე ევოლუციურად, წარმოადგენს წინა ძეგლებში დაწვებულ ცენტრალურ გუმბათოვანი თემის განვითარებას. (ნახ. 5).



ნახ. 6. იყალთო. მცირე ტაძარი.

Чертеж 6. Икалто. Малый храм.

ამ ძეგლის შექმნით იწყება მოცულობით — სივრცითი კომპოზიციის მომწიფების პერიოდი.

შენობის ამოსავალი ელემენტი-გუმბათქვეშა კვადრატი — აქ უკვე მიიღება ტოლი $M = 5m$ (5.17 მ) მას ხუროთმოძღვარი, ჩვეულებისამებრ ათავსებს შენობის ღერძთა გადაკვეთაზე. მის ოთხივე მხარეს განლაგებს ჯერის მკლავებს და სიღრმით, მათ ისევე, როგორც წინა ძეგლებში, შეწყვილებულად ერთნაირს აკეთებს, აღმოსავლეთ-დასავლეთისას $3/4 M$ -ის ტოლს (4.94 მ), ხოლო ჩრდილო-სამხრეთისას $1/4 M$ ტოლს (1.32 მ). როგორც ჩანს, მთავარ აღმოსავლეთ-დასავლეთის, ღერძს აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამასთან ერთად, როგორც წესი, აღმოსავლეთის მკლავი იღებს ნახევარწრიული აფსიდის ფორმას.

ვერტიკალური მოცულობის აგებისას ხუროთმოძღვარი მისდევს უკვე გამოშვებულ ხერხებს და წინდაწინ სახავს მათ ძირითად სიდიდეებს, გვერდის შესაბამის სიდიდეებთან თანაზომიერების შედეგად.

მშენებელი იღებს რა მხედველობაში ზემოაღნიშნულ ტენდენციას (შიდა სიმაღლისა და სიგრძის შეფარდებაში), შიომღვიმეში შიდა სიმაღლეს სახავს $2 1/2 M + m$ (13.70 მ), ე. ი. თითქმის შიდა სიგრძის ტოლს. მათ შორს განსხვავება მხოლოდ $1m$ -ის ტოლია.

გუმბათის შიდა სიმაღლეს, უკვე როგორც წესი, იღებს თავისივე დიამეტრის, ე. ი. დიდი, კომპოზიციური მოდულს M -ის ტოლს (5.0 მ), რის შემდეგაც უბრალო არითმეტიკული განგარიშებით საზღვრავს სიმაღლეს იატაკიდან გუმბათქვეშა თაღების დასაწყისამდე რომელსაც იღებს ისევ დიდი მოდულის M -ის (5.08 მ) ტოლს. აქ იბადება აზრი, რომ შეიძლება ეს სიმაღლევ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მის მიერ წინდაწინ იქნა დასახული.

გარე მოცულობები გუმბათქვეშა ნაწილში ნაკლებ საინტერესოა, ვინაიდან ნაწილობრივ მიწაშია. სამაგიეროდ გუმბათის პროპორციები უაღრესად დახვეწილი და დასრულებულია.

იყალთო გარკვეულ ინტერესს იწვევს უკვე იმით, რომ მასში ხუროთმოძღვარი,

იღებს რა გეგმის საფუძვლად უგუშობათ მცხეთის ჯვარის მცირე ტაძრის მსგავს კომპოზიციას (სადაც ასიმეტრიულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი), ამით დგება გარკვეული დილემის წინაშე თუ როგორ გადაწყვიტოს ამ შემთხვევაში გუმბათქვეშა კომპოზიცია. ამოცანა საკმაოდ მახვილგონივრულადაა გადაწყვეტილი. დასავლეთის მოკლე მკლავს ადგამს შესასვლელ კარიბჭეს, რითაც ამავე დროს აწონასწორებს ამ ღერძს. გადაწყვეტა რა ამრიგად ეს ამოცანა, იგი ამით იღებს შესაძლებლობას, რომ გერტიკალური მოცულობების კომპოზიციის აგებისას გამოიყენოს უკვე ჩამოყალიბებული სამი კანონი.

ამის დამადასტურებელი შეიძლება იყოს ის ფაქტი რომ თუ შიდა მოცულობებში გუმბათის რეკონსტრუქციისას (რომელიც ჩვენ მიერ არის გაკეთებული) მის სიმაღლეს კანონის მიხედვით მივიღებთ თავისივე დიამეტრის, ე. ი. გუმბათქვეშა კვადრატის გვერდის, M -ის (3,14 მ) ტოლს, რაც გეგმიდან არის ცნობილი ამ შემთხვევაში შენობის მთელი შიდა სიმაღლე მიიღება ტოლი შიდა მთელი სიგრძისა კარიბჭის ჩათვლით, ე. ი. $2 \cdot \frac{1}{2}M + 2/a$ (8,90 მ) რაც შეესაბამება პირველ კანონს. საყურადღებოა აგრეთვე ერთი ფაქტი, რომ რეკონსტრუქციის შემთხვევაში შენობის შიდა მთელი სიმაღლის (ანდა სიგრძის) შეფარდება დიდ კომპოზიციურ მოდულთან იგივეა, რაც შიომღვიმეში. ეს ყველაფერი კი ალბათ უნდა ადასტურებდეს ჩვენი დასკვნების სისწორეს. ამრიგად, როგორც ჩანს, უკვე ამ ადრეშუასაუკუნეების პერიოდში ყალიბდებოდა კომპოზიციის აგებას გარკვეული კანონზომიერებანი, დაფუძნებული მოდულურ თანაზომიერებებზე. დროთა განმავლობაში განვითარებისა და დახვეწის პროცესში ისინი იღებდნენ კომპოზიციური კანონების ძალას, რომლებიც საკმაოდ დიდი ხნის პერიოდში მოქმედებდნენ. მაგრამ რაკი ისინი, ამავე დროს წარმოადგენდნენ შემოქმედებითი მეთოდების განუყრელ ნაწილს, ამით იქმნებოდა საშუალება მათი მემკვიდრეობით გადასვლისა შემდგომ ეპოქაში, რაც ხელს უწყობდა ქართული ხუროთმოძღვრების დახვეწასა და განვითარებას. ამის საუკეთესო დამადასტურებელია შემდგომი ეპოქა, როდესაც იქმნება ჯვარის ტიპის ძეგლები, სადაც, როგორც გვიჩვენებს სხვა გამოკვლევები, ეს კანონზომიერებები ნახულობდა თავის კლასიკურ გამოხატულებას.

1. ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლ. წიგნი III ქართული საფას-სახომომცოდნეობა. თბ., 1925.
2. ჯ. ზუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I „სახელგამი“, 1936 წ. გვ. 27.
3. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, „ხელოვნება“, თბ., 1974 გვ. 28.
4. ჯ. ზუბინაშვილი, ხელოვნების ისტორიის საკითხები, ტ. I, (რუსულ ენაზე) „ხელოვნება“ თბ., 1970 გვ. 40.
5. ჯ. მისულიშვილი, მოდულური სისტემა საქართველოს ცენტრალურ გუმბათოვანი ნაგებობების შენელობაში. საკანდიდატო დისერტაცია, 1965 წ. (რუსულ ენაზე)
6. ჯ. ზუბინაშვილი, ჯვარის ტიპის ძეგლები (რუსულ ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1948 გვ. 93.
7. დ. ბარბარო, კომენტარიები ვიკტორევისის ათ წიგნზე არქიტექტურის შესახებ (რუსულ ენაზე) მოსკოვი, 1938 წ. გვ. 29
8. ე. ზუბინაშვილი, წიგნი (რუსულ ენაზე). მეცნიერება“ მოსკოვი, 1960 წ. გვ. 58
9. ვ. ცინცაძე, იდუგოს ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია: ქართული ხელოვნება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ტ. III თბ., 1950 გვ. 8.
10. ი. ციციშვილი, ძველ საქართველოში ზმარებულ სივრცის საზომთა შესახებ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. IX, № 5 1948.
11. ლ. ტოკარსკი, სივრცის ძირითადი საზომების შესახებ სიმბოლო, (რუსულ ენაზე) „რუსეთის აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე“ ტ. III, ლენინგრადი, 1924.



გვიანფეოდალური ხანის ქართული ჰელდროვის ერთი
ძეგლის შესახებ

ქ. გორის სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მაღალ გორაზე, ციხის გალავანში იდგა ქვისაგან ნაშენი პატარა ეკლესია, რომელსაც გორის ჯვარი ეწოდება. ამ ეკლესიაში ინახებოდა კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც რევოლუციის დროს გორელ შემამულეს გიორგი ამილახვარს გადაეტანა თავის სახლში და წაეთხოვებინა. მისგან ჯვარი შეძენილ იქნა 1920 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის. ამჟამად ეს ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია წარმოდგენილი. მისი სიმაღლე 188 სმ., სიგანე 0,84 სმ. ხის ჯვარი შეჭედილია ვერცხლის ფირფიტებით, რომელსედაც ჭედურობით გამოსატყლია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების სცენები. ცენტრში ჯვარედინზე მოთავსებულია ჯვარცმის იკონოგრაფიული სქემა თანდგომებით, ღვთისმშობლისა და იოანეს გამოსახულებით. ქვემოთ ადამიანის თავია გამოსახული. სულ 15 სიუჟეტია. ჯვრის ქვედა ნაწილში არის წარწერა ასომთავრულით, სადაც ქარაგმების გახსნისა და მხედრული ტრანსლიტერაციის შემდეგ იკითხება:

1. მოწამეთა შორის დაუვსებელი ვარსკულავო
2. კერპთ შემმუსვრელი და მოწამეო დიდო
3. ლმობა ტანისა და ძვალოთა ჩემთა ბრძვილინი
4. განმიკურნე მე მეფესა ალექსანდრეს
5. რომელთა ვინებეთ ხატთა თქვენთა მოქცადა
6. ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემან პატრო —
7. ნმან ალექსანდრე გიგულეთ თანა შეწვენით —
8. ა შენ ძლიერის და ახოვნისა და ღვაწლ მრა —
9. ვლისა წმიდასა დიდისა მოწამისა გიორგისათა და
10. მოვაჭედინეთ ხატი მსგავსებისა თქუენისა
11. თავყანისსაცემლად შენდა და სადიდებ —
12. ელად და დაეასვენეთ გორის ჯვარსა, ტაძარსა
13. შენსა რათა განმიკურნოთ ჩემ შორისასა
14. მის ხორციელსა სალმობისა და მით-
15. ხო მოხელისა მას მისსა დიდებით რომლი
16. სთვის იწამა ახოვნებამ შენმან

ქვემოთ, ჯვრის ფეხზე არის მეორე მხედრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ფეხი ვერცხლის ფირფიტებით 1707 წელს შეუჭედათ გიორგი ამილახვარის შეკვეთით.

ჯვარს გააჩნია კონუსური მოყვანილობის ქუდი, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი XIII საუკუნით ათარიღებს. შეჭედილია ვერცხლით, რომელსედაც დაშტამპულია ტლანქად შესრულებული სხვადასხვა სიუჟეტები: ცხენოსანი გველეშაპის მგმირავი წმიდა გიორგი, ზემოთ კი ორი მრგვალი მედალიონი, ერთში გამოსატყლია კვლავ ცხენოსანი გველეშაპის მგმირავი წმიდა გიორგი, ხოლო მეორეში ღვისმშობელი. ქუდის ზედა ნაწილში გამოსატყლია ჯვარცმა. მოპირდაპირე წახნაგზე იგივე სიუჟეტები მეორდება.

გორიჭერის კანკელის წინ
დასადგმელა ჯვარი.



Предалтарный крест из
Гориджаври.

გ. ჩუბინაშვილი¹ ზემოთ მოხსენებულ ალექსანდრეს მიიჩნევს კახეთის მეფე ალექსანდრედ (1574-1605) მხოლოდ იმ მოტივით, რომ კახეთის მეფე ალექსანდრეს ქართლელი თავადის ბარბიმ ამილახვარის ქალიშვილი ჰყავდა ცოლად, გორი ჯვრის ეკლესია კი მის მამულში შედიოდა. ე. თაყაიშვილი² ფიქრობს, რომ ეს წარწერა შეიძლება მეფე ალექსანდრე დიდს (1412-1442) გულისხმობდესო, მაგრამ შემდეგ თავის მოსაზრებას უარყოფს, მხოლოდ იმიტომ რომ ჯვარზე არის კახეთის ქედურობისათვის დამახასიათებელი ორნამენტი. ვინაიდან ზემოთ მოყვანილ წარწერაში არ არის აღნიშნული თუ რომელი მეფე ალექსანდრე იგულისხმება, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ისტორიული წყაროების კრიტიკულად შესწავლა და აგრეთვე, იმდროინდელი ქართლისა და კახეთის პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება. ამ წარწერაში აღნიშნულია, რომ მეფე ალექსანდრე წმიდა გიორგის სახელობის ცკლესიას სწირავს ჯვარს



იმისათვის, რომ განიკურნოს მძიმე დაავადებისაგან. საყურადღებოა, რომ თომა მეწი-
 ზელის ცნობით მეფე ალექსანდრე I (1412-1442) მძიმედ დაავადებული ყოფილას შემდეგ განკურნებულა (ეს მომხდარა 1439 წელს). ეს ცნობა გადმოცემულს *ქაჯახიშვილს*¹.
 ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ უნდა შეეწირა კახეთის მეფე
 ალექსანდრეს (1574-1605) ქედური ჯვარი ქართლის ტერიტორიაზე მდებარე ვა-
 ლესისათვის. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის ქართლში შეტად რთული პოლიტიკურ-
 ი მდგომარეობა იყო: თეთი ქართლის მეფე სვიმონი ტყვედ იყო წაყვანილი სპარ-
 სეთში, ხოლო ქართლში ირანელები ბატონობდნენ. ამავდროს, როგორც ცნობილია
 საისტორიო წყაროებიდან, კახეთის მეფე ალექსანდრე ირანის მიმართ ძალიან ფრთხილ
 პოლიტიკას მიმართავდა. ის ყოველნაირად ცდილობდა ირანის მმართველის გულის
 მოგებას, რათა როგორმე აეცალებინა ირანის შაჰის ჯარების კახეთში შემოჭრა. ამი-
 ტომ ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში, ჯვრის დადგმა ქართლის ტერიტორიაზე ძალიან
 წინდაუხედავი ნაბიჯი იქნებოდა, რასაც მეფე ალექსანდრე ასეთ პოლიტიკურ ვითარ-
 ებაში გაითვალისწინებდა.

რაც შეეხება მეფე ალექსანდრე I აქ მისი მეფობის ხანაში სულ სხვა სურათს
 ვხედავთ ალექსანდრე მეფე სრულიად საქართველოს მბრძანებელი იყო, ეს გარემოება
 ხაზგასმით არის აღნიშნული თავის სიგელებშიაც „მე... ორსავე სამეფოს მტკიცედ,
 შეუტრთულად და შეურყევლად მყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთ მეფე-
 მან ალექსანდრე“... თავის მეფობის დასაწყისში ალექსანდრეს თემურლენგის შემოხვევ-
 ბისაგან დანგრეული, აოხრებული საქართველო დარჩა, რომელიც მან გააერთიანა და
 აღადგინა. რადგან სახელმწიფოს სათანადო თანხა არ გააჩნდა, ალექსანდრე მეფემ
 1425 წელს საგანგებო გადასახადი დააწესა და ამ წლიდან მოყოლებული საქართვე-
 ლოს თითოეული სრულფედიანი მეკომური 40 თეთრს იხდიდა. 1440 წლისათვის მიზა-
 ნიც და გვემაც განხორციელდა. ალექსანდრე მეფეს თავის სიგელში აქვს აღნიშნული,
 რომ რამდენიც კი საქართველოში ციხე, საყდარი, მონასტერი და სხვა შენობა იყო
 ყოველივე სრულიად აღუაშენებ და შევაშკვო. საყურადღებოა, რომ ივ. ჯავახიშვილს თავის
 წიგნში მოყვანილი აქვს ცნობა, სადაც აღნიშნავს: „ალექსანდრე I ბრძანებით მო-
 ტედილა დიდი ოქროს ჯვარი წმიდა გიორგის ცხოვრებიდან ამოღებული სურათებით
 შემკული, მაშინდელი ქართული ოქროსმქანდაკელობით ხელოვნების ზეაღმატებული
 თვისებების საუცხოო ნიმუში“². ეჭვს გარეშეა ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში აქვს
 გორის ჯვრის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, რომელიც მოოქროვილია.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი წერილობითი მასალები საშუალებას გვაძლევს და-
 ვასკვნათ, რომ ჩვენი შესწავლის საგანი, — გორის ჯვარის კანკელის წინ დასადგმელი
 ჯვრის თარიღი, განისაზღვროს XV საუკუნით, გაერთიანებული საქართველოს მეფის
 ალექსანდრეს I (1412-1442) დროით და საქტიტორო წარწერაში მოხსენებული მეფე
 ალექსანდრე, ალექსანდრე I დიდად მივიჩნით.

ვფიქრობთ, ალექსანდრე I ეს ჯვარი უნდა შეეწირა გორის ჯვარის ეკლესიისათ-
 ვის მძიმე ავადმყოფობის ვაჟს (1439 წელს), რაც ჯვრის წარწერაშიაც არის აღნიშ-
 ნული და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. აღნიშნული გარემოება საფუძველს
 გვაძლევს გორის ჯვარის კანკელის წინ დასადგმელი ჯვრის თარიღი მოვაქციოთ გარ-
 კვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ე. ი. მეფე ალექსანდრეს ავადმყოფობისა და სამე-
 ფო ტახტიდან მისი ნებაყოფლობით გადადგომის წლებს შორის (1439-1442).



სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გორის ჯვრის კანკელის წინააღმდეგ სამართავეი ჯვარი და კარის მოძღვარის ფილიპეს შეკვეთით მოჭედილი კარელი ხატისტილისტური ერთგვაროვნებით ხასიათდება და XVI საუკუნეს განეკუთვნება.

თუ მისაღებია ჩვენი თვალსაზრისი, რომ გორის ჯვარის კანკელის წინ აღსამართავეი ჯვარი ალექსანდრე I კტიტორობითაა შეჭედილი 1439-1442 წლებს შორის, მაშინ, შემოაღნიშნული კარედი ხატის თარიღიც XV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს.

1. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство Тб., 1959, გვ. 636.

2. ე. თაყაიშვილი, გორის ჯვარის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1948 წ. ტ. XXXIV, გვ. 383—389.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1967, წიგნი 4, გვ. 30.

4. იქვე.

5. ივ. ჯავახიშვილი, დსახ. ნაშრომი, გვ. 171.



ქართულ ხალხურ ფეიქრობაში ძველი ქართული ტექსტილური წარმოების არაერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო შემონახული. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საფეიქრო შრომის იარაღებს, პირველ რიგში კი მრავალფეროვან საქსოვ დაზგებს. ტიპოლოგიურად ხალხური საქსოვი დაზგების ყველა ნაირსახეობა შეიძლება ძირითადად ორ ჯგუფად დავყოთ. პირველია ბეჭსა და შევრიანი საქსოვი ყდები, მეორე კი — დგომსა და ვარცხლიანი საქსოვი დაზგები ანუ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინოლოგიით — ვერტიკალური და პორიზონტალური საქსოვი დაზგები. საქსოვი დაზგების ამ ტიპების გავრცელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ვერტიკალური დაზგა გაბატონებული იყო უპირატესად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვ.) ტოლის საქსოვად. საერთოდ საქსოვი დაზგის ეს ტიპი ყველგან იყო გავრცელებული საქართველოში, სადაც კი ფარდაგ-ხალჩებისა და ჭილოფის ქსოვას მისდევდნენ. პორიზონტალური საქსოვი დაზგა („საქსლე“, „სამექსლო“, „საფეიქრო“, „ომუალე“, „ლაჯმარ“ და სხვ.) თუშეთის და ფშავ-ხევსურეთის გამოკლებით გავრცელებული იყო მთელ საქართველოში ყოველგვარი ქსოვილების დასამუშაოდებად (გარდა ფარდაგ-ხალჩებისა). საქსოვი დაზგების ორივე ეს ტიპი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნაირნაირი ვარიანტებით იყო წარმოდგენილი ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ კონსტრუქციით, დამზადების ტექნიკითა და ფუნქციით, რაც გასაოცარი სიზუსტითაა ასახული ქართულ ხალხურ მდიდარსა და ორიგინალურ საფეიქრო ტერმინოლოგიაში. განსაკუთრებით შესამჩნევია საქსოვი დაზგის ამ ტიპებს შორის არსებული სხვაობა მათი საქსოვი აპარატურისა და ტექნიკური შესაძლებლობების მიხედვით.

ვერტიკალური ანუ ბეჭსაშეკრანი საქსოვი დაზგისათვის დამახასიათებელია — ასაწყობი მაღალი ჩარჩო ხისა, ზედ ვერტიკალურად. სიმალეზე დაგებული უწყვეტი ქსელი, და საქსოვი აპარატურა: საშეკარი. ცხემლა და ბეჭი. საქსოვზე მქსოველი ქირციხ მოყვანის და ქსოვის პროცესებს მარტო ხელებით ასრულებდა.

ქართული ვერტიკალური საქსოვი დაზგების ტიპოლოგიური ერთიანობის მიუხედავად, მის ვარიანტებშიც გამოიყოფოდა ცალკეული სახესხვაობანი. მაგალითად, ქსლის დაგების წესით ვერტიკალური საქსოვი დაზგების თავისებურ სახესხვაობას წარმოადგენდა საქართველოს რიგ რაიონებში დამოწმებული ჭილოფის საქსოვი ყდები, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ქართლში ჭილოფის საქსოვად გამოყენებულ ყდებს სრულებით არ მოუპოვებოდა საქსოვი აპარატურა: ასეთ ჩარჩოზე ქსელს ლეილებზე აგებდნენ, ქირციც ხელით მოჰყავდათ და მისაქსელიც ხელით გაჭქონდათ უცხემლოდ, მაშინ როცა სამეგრელოში დამოწმებული ჭილოფის საქსოვი რომაგი იწიკავდა სავარცხლის სახელწოდების მქონე ისეთ თავისებურ მუშა ელემენტს, რომელიც ერთდამივე დროს დგომისა და ვარცხლის (საბეჭავის) ფუნქციას ასრულებდა. საქსოვი დაზგების ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ საცრების, ხონჯრების და მისთანათა საქსოვი ყდები.



საქსოვი დაზგების პორიზონტალური ტიპისათვის დამახასიათებელია ქსოვილის დასახვევი მოძრაობის დევილი, „ხიდიანი“ ან „უხიდი“ მყარი დედანიკის საყარბელი, პორიზონტალურად დაგებული ნებისმიერი სიგრძის ქსელის დასახვევი აპარატურა სულ ცოტა წყვილი დგომი, ერთი სავარცხელი და მაქო. ამ საქსოვზე ქირცი მქსოველს დგომებზე გამომხული საღებების შემფობით ფხვით მოყავდა, ხოლო გამოთავისუფლებული ხელდებით კი ქსოვდა. ამ მოთავარი ნიშნების მიხედვით საქართველოში გავრცელებული პორიზონტალური საქსოვი დაზგები ყველა ერთი ტიპისა იყო. მათ შორის არსებული განსხვავება ურთავრეხად დედნის სხვადასხვა კონსტრუქციაში მდგომარეობდა, რაც მას დასრულებულ ხახეს და მყარ ფორმას ანიჭებდა.

მოყვანილობის მიხედვით დედანი სამკუთხოვანი ან ოთხკუთხოვანი იყო. დაბალი სამკუთხოვანი დედანი დამოწმებულია სვანეთში. ოთხკუთხოვანი მაღალი დედანი გავრცელებული იყო იმერეთში გურიასში, აჭარასში, სამეგრელოში. ხოლო „ხიდებიანი“ დედანი ქართლ-კახეთსა და სამხრეთ-საქართველოში. პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგ რაიონში (ხევი, მთიულეთი) სრულიად უდენდო საფეიქროსა და მყარ იყო გავრცელებული, რომლის სახესხვაობა მათ მეზობელ ოსებშიცაა დამოწმებული.


სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული საქსოვი დაზგების კლასიფიკაცია ამათუ იმ ტიპის დადგენის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ქსელის დაგების წესს ანიჭებს, რაც ყოველთვის ვერ გამოხატავს ფაქტიურ სინამდვილეს, ამიტომაც ქართული ხალხური საქსოვი დაზგის ამათუ იმ ტიპის დასადგენად, ქსლის დაგების წესთან ერთად, ვითვალისწინებთ მეორე კრიტერიუმსაც — საქსოვ აპარატურას.

ორივე ამ ნიშნის მიხედვით ჩვენს მიერ ადრე შემოთავაზებული ქართული ხალხური საქსოვი დაზგების კლასიფიკაცია¹ ზოგიერთი ახალი მონაცემით უნდა შეივსოს.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგების ტიპოლოგიის დადგენასთან ერთად იბადება კითხვა — რომელი პერიოდიდან ვრცელდება საქართველოში საქსოვი დაზგის ვრტიკალური და პორიზონტალური ტიპები და რომელია მათგან უხუცესი. ამ კითხვასზე საბოლოო პასუხის გაცემა თუმცა ნაადრევია მანამდე, ვიდრე ფეიქრობასთან დაკავშირებული ქართული განათხარი მასალა მთლიანად და ყოველმხრივად არ იქნება შესწავლილი, ზოგი რამ მაინც შეიძლება გარკვევით ითქვას. ისტორიულ-ლიტერატურული და არქეოლოგიური მონაცემებიდან უეჭველია, რომ ფეოდალური ხანის საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის საქსოვი დაზგები. კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით შეიძლება ამის მტკიცება ანტიკური პერიოდის საქართველოსათვის, რომელსაც საფეიქრო წარმოების მაღალი კულტურით მთელს ანტიკურ სამყაროში ჰქონდა სახელი განთქმული.

ყოველ შემთხვევაში პორიზონტალური საქსოვი დაზგების არსებობას ანტიკური ხანის საქართველოში (როგორც ამას ბ. კუფტინი და ნ. ხომტარია ვარაუდობენ) წერილობითი წყაროებისა და განათხარი მასალის გარდა მხარს უჭერს ეთნოგრაფიული მონაცემები.

მაღალხარისხოვანი კოლხური სელის ქსოვილების ისეთი დიდი რაოდენობით დამზადება, რაც ჭეყნის საშინაო მოთხოვნილებასაც უზრუნველყოფდა და მაშინდელ საგარეო ბაზარსაც დააკმაყოფილებდა, დაწინაურებულ საფეიქრო ტექნიკაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და არა ე. წ. საწაფებიან ან ძველ ვერობაში გავრცელებული




განათხარი სართავ-საქსოვი იარაღები
 1. ბედენი. — 2, 3, 4, 5, 6, 7 (აზი-
 რანის ვორა). 4. (არუხლო); ძვლისა —
 12 (სამელე კლდე). საბეჭავები ძვლისა —
 9, 10 (ილტო). 11 (უზერლიკ-თეფე). 12,
 13 (კვაცხელეხი).

Археологический придильно-трап-
 чий инвентарь
 1 (Бедени), глиняные — 3, 5, 6,
 7 (Амиранис Гора). 4 (Арухლო).
 костяные — 12 (Самеле Кледе).
 Костные бедра — 9, 10 (Илто),
 11, (Узерлик-Тепе). 12, 13 (Ква-
 цхелехи).

სტეა რომელიმე ტიპის ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე, რომელიც მეტისმეტად დაბალი შრომის ნაყოფიერებით ხასიათდებოდა.

გენეტიკურად, კი, განათხარი მასალის მიხედვით, საქართველოში საქსოვი დაზგის უძველეს ტიპად ვერტიკალური დაზგაა საგულვებელი. ბეჭსაშვერიანი საქსოვი დაზგის პროტოტიპი (ალბათ მიწაზე ძორიზონტალურად გართხმული უჩარჩოთ საქსოვის სახით ქართულ განათხარ მასალაში, ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ.




ვერტიკალური საქსოვი დაზგები

ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები

Вертикальные ткацкие станки

Горизонтальные ткацкие станки



წ. III ათასწლეულში ჩნდება. ამის მანიშნებლად მიჩნეულია ქვაცხელებისა⁵ და ილტოს⁶ არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილი ძვლის საბეჭავები, რომლებიც საოცარ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დღემდე შემონახულ ბეჭესაშეერიანი საქსოვი დაზგის საბეჭავებთან.



პორიზონტალურად მიზნეული, მაგრამ ფაქტიურად ვერტიკალური საქსოვი დაზღვის ერთ-ერთი უძველესი სახეობა, რომელსაც ქსელი მიწაზე ჰქონდა პორიზონტალურად დაგებული (თუმცა მას ისეთივე საქსოვი აპარატურა გააჩნდა, როგორც ბეჭსაშვერიანს) და, რომლის გამოსახულება ძველ ეგვიპტურ მხატვრობაში ბენი-ჰასანის (ძველი ეგვიპტის XX ს.) მონაცემებიდანაა ცნობილი, მრავალი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იყო შემონახული, მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც სადაც საფეიქრო წარმოების კულტურას ძალიან ადრე ჩაეყარა საფუძველი (წინა აზია, შუა აზია, კავკასია). მიწაზე გართიშული საქსოვი დაზღვის ამ უძველესი ტიპიდან დღემ-სავარცხლიანზე გადასვლა ძველ საქართველოში, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფის პროცესში, სულ ცოტა ძვ. წ. I ათასწლეულში უნდა განხორციელებულიყო. ამ დროს, განსაკუთრებით, დაწინაურდა საფეიქრო წარმოების კულტურა.

ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ საქსოვი დაზღვების მრავალათასწლეოვანი ევოლუციის ყველა ძირითადი რგოლი ძველ საქართველოში ამ იარაღის არქაული ამონათხარი ფორმებიდან მოყოლებული, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ რთულ ფორმებამდე, ადგილობრივ ნიადაგზე ჩანს წარმოშობილი და განვითარებული. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ თავისი ჩასახვის დღიდან, ტექსტილური წარმოების კულტურა საქართველოში შინაგანი გზით ვითარდებოდა. წარმოების ამ დარგში მიღწეულ მონაპოვართა უწყვეტი კულტურული მიმდევობის ფაქტები ძველ საქართველოში ფეიქრობის თავდაპირველი ევოლუციის ყველა ძირითად ეტაპზეა წარმოდგენილი.

ზემოთქმული, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ საფეიქრო წარმოების კულტურა და მასთან დაკავშირებული შრომის იარაღების, პირველ რიგში კი საქსოვი დაზღვების განვითარება, გარე სამყაროსაგან იზოლირებულად მიმდინარებოდა. პირიქით, ქართულ საფეიქრო კულტურას საერთოდ და საქსოვ დაზღვებს, კერძოდ, მნიშვნელოვანი ანალოგიები მოეპოვება კავკასიის, ძველი აღმოსავლეთის და ევროპის ხალხთა ტექსტილური წარმოების კულტურაში. განსაკუთრებული სიძლიერით ჩანს ეს კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში. აქ ქართული ხალხური დღემ-სავარცხლიანი და ბეჭსაშვერიანი საქსოვი დაზღვების ანალოგიური ტიპები მრავალფეროვანი ორიგინალური ვარიანტებით იყო წარმოდგენილი. ამასთან ყურადღებას იქცევს ის, რომ კულტურის ამ ელემენტის ანალოგიური ფორმები ყველაზე მეტ სიახლოვეს კავკასიის ტერიტორიულ-ეთნიკურად მომიჯნავე რაიონებში ამქვანებებს. ასეთი სიახლოვე მკვეთრად შეინიშნება ქართულ დღემსავარცხლიან საქსოვ დაზღვებსა და ანალოგიურ აფხაზურ-ადიღურ, ოსურ, ყარაჩაულ და დაღესტნურ დაზღვებს შორის. კიდევ უფრო მეტი შეიძლება ითქვას ამ მხრივ ვერტიკალური საქსოვი დაზღვების შესახებ. საქართველოსთან ერთად ბეჭსაშვერიანი საქსოვი დაზღვები სხვადასხვა ვარიანტით გავრცელებული იყო კავკასიის იმ რეგიონებში, სადაც „ყდის შალის“ გარდა ფარდაგული და ხალიური ქსოვილების წარმოებას მრავალსაუკუნოვანი ხალხური ტრადიციები ასაზრდოებდა.

1. მთის მთელი.
2. ქარცი (ხევის), ხიფხა (მთხვე) — ქსლის უბე, რომელშიც საზედაო გააქვთ ცხემლით
3. საქსოვი დაზღვების უდენო ქვესახეობას შეიძლება პირობითად შევადარებინო ჩახსკრავეების (მათ შორის წერილის ჩახსკრავეების) საქსოვი ფორმები.
4. გ. ჩანაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზღვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-1, თბ., 1954.
5. ა. ჯავახიშვილი, ლ. ლლონტი, ურბნისი I, თბ., 1962.
6. Дедабришвили Ш. Памятники эпохи ранней и средней бронзы. Труды Кахетской археологической экспедиции I, Тб., 1969.



1975 წლის 11 დეკემბერს ლაზოლენში, საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და ადგილობრივი რაისაბჭოს ინიციატივით, ჩატარდა სამეცნიერო სესია. სესია შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების ლაზოლენის რაისაბჭოს თავმჯდომარემ აშ. შოველ კახანაძემ.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის კონსტანტინე ფიცხელაურის მოხსენება მიეძღვნა ამ მხარის არქეოლოგიური ექსპედიციის მშრომელთა და ნაყოფიერ მუშაობას. აღნიშნა, რომ ექსპედიციამ ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში აღმოაჩინა ძველი ქვის ხანის ადრეული ეტაპის მანამდე უცნობი ძეგლები, ადრე სამიწათმოქმედო დასახლებები, შუა ბრინჯაოს ხანის მრავალფეროვანი ბრწყინვალე კერები, აგრეთვე ადრეული ხანის და ინტეგრირებული დასახლებების უმნიშვნელო ნაშთი ძეგლები.

აშ. ფიცხელაურმა მოხსენებაში უხვად გამოიყენა საილუსტრაციო მასალა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მსმენელთა ინტერესი. სესიის მონაწილეებმა მოისმინეს უკრაინის ზალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმის ეთნოგრაფიული სექტორის ვაჟის — თამარ შიხაილენკოს მოხსენება; მოხსენებელი შეეხო ზალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების ამსახველი მასალების გამოვლენების, მეცნიერული შესწავლისა და ექსპონირების საკითხებს. მან უკრაინისა და საქართველოს ზალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების მუზეუმების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე ცხადყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ექსპონატებს ჩვენი საშობლოს ყოფითი წარსულისა და ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლული მდივნის ირაკლი ზაქარიაშვილის მოხსენება მიეძღვნა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-დაცვის მნიშვნელობას. მან აღნიშნა, ჩვენს რესპუბლიკაში ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე გაწეული მუშაობის, ძველთა დაცვისა და პრო-

პაგანდის გაუმჯობესების და ამ დიდ ეროვნულ საქმეში საზოგადოების წვლილის შესახებ.

მოხსენებელმა ილაპარაკა, აგრეთვე იმ ნაყოფიერ მხარეებზეც, რაც გააჩნია დღეისათვის საზოგადოებას თავის მუშაობაში; რაც კიდევ მეტი პირველხარისხოვანი ძეგლი მოკლის მზრუნველ ხელს, ნაწილობრივ შეუსრაველია საბრძოლო და შრომითი დიდების ამსახველი ობიექტები, პატრონობის მოთხოვნის მრავალი ისტორიულ-არქეოლოგიური ადგილი. აღნიშნული ძეგლები უნდა ჩაეყენოს ჩვენი დიდი დროის სამსახურში, ისინი უნდა ვაქციოთ მოსახლეობის ესთეტიკური და პატრიოტული, აგრეთვე, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური გრძნობით აღზრდის კერებად.

მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ლაზოლენის რაისაბჭოს თავმჯდომარის — შოველ კახანაძის მოხსენებამ თემაზე „ლაზოლენის რაისონის წინათ და ახლა“.

მოხსენებელმა ილაპარაკა რაიონის რევოლუციური წარსულზე, აგრეთვე იმ მიღწევებზე, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ეწევა რაიონის ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. აღნიშნა იმ ნაყოფიერ შრომაზე, რასაც რაიონის მშრომელები ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შესახებდრად. აშ. შ. კახანაძე შეეხო რაიონის განვითარების მომავალ პერსპექტივებსაც.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე კახეთის არქეოლოგიური ზონის თანამშრომლები: მეცნიერ მუშაკები თამარ ბუციანიშვილი, ზესარიონ მაისურაძე და ვაჟა ვარაზაშვილი. მოხსენებლებმა მსმენელთა კითხვებს ამომწურავი პასუხები ვასცეს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კლავოლენის რაიონის პირველი მდივანი აშ. შოთა ბასილაშვილი.

სესიის მონაწილეთა ერთი ჩაუფი გაეცნო წითელწყაროს, სიღნაღისა და თელავის მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლის მდგომარეობას.

ირაკლი ზაქარიაშვილი

«ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ» № 41
СЕРИЯ, «ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ»
АННОТАЦИИ:

А. РАМИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОХРАНЫ
АРХЕОЛОГИЧЕСКИХ
ПАМЯТНИКОВ

В постановлении Совета Министров СССР 1948 года «О мерах улучшения охраны памятников культуры» отмечалось, что «контроль за сохранностью исторических и археологических памятников не осуществляется. Совет Министров Грузинской ССР в своем постановлении 1956 года указывал, что Госкомитет строительства и архитектуры фактически руководит только охраной памятников архитектуры, а остальные памятники остаются без надзора. С целью улучшения охраны памятников культуры при Министерстве культуры Грузинской ССР было образовано Управление по делам охраны и реставрации памятников культуры, которому было поручено руководить учетом, охраной и реставрацией всех видов памятников культуры. Несмотря на указанные постановления, Управление охраны и реставрации памятников культуры за прошедшие 20 лет в основном занималось все теми-же памятниками архитектуры и мало внимания уделяло другим, в том числе и в особенности археологическим памятникам. Справедливости ради следует отметить, что в этом отношении не проявляли должную заинтересованность и активность и те научно - исследовательские учреждения которые занимаются археологическими раскопками.

В статье затронуты некоторые стороны охраны археологических памятников, которые по нашему мнению являются первостепенными в этом деле. Таковы: вопрос об охране археологических памятников в процессе и после раскопок; разработка и усовершенствование методов и практических приемов охраны раскопанных археологических памятников; охрана еще не раскопанных памятников путем установления вокруг них охранных зон; охрана аварийных археологических памятников; археологические изыскания непосредственно связанные с реставрационными работами на архитектурных памятниках и др. В этом же ряду следует поставить вопрос широкого участия в деле охраны археологических памятников краеведческих музеев и первичных организаций Общества охраны памятников культуры.

По нашему убеждению все охранные мероприятия археологических памятников должны проводиться на средства и силами исключительно охранных органов, а научные учреждения обязаны принимать меры против разрушения лишь в процессе раскопок, как это предусмотрено постановлением Совета Министров СССР 1948 года.

**МОГИЛЬНИК В СЕЛЕ
КВАРЕЛЦКАЛИ**



В 1966 г., в Панкисском ущелье, южнее сел. Кварелцкали около села Кудакта, при строительстве магистрального канала Верхне-Алазанской оросительной системы (ПК № 12 и 13) были найдены бронзовые мечи, наконечники копий, браслеты и сердоликовые бусы (таб. 1).

В 1967 г. на этом месте археологические раскопки произвела Кахетская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР (руководитель К. Н. Пицхелари).

Было раскопано четыре грунтовых погребения, из которых три сильно потревожены.

Удлиненные, четырехугольные погребальные ямы (1,5x1 м; 2,20x

x0,80 м), ориентированы с северо-запада на юго-восток.

Над могильной ямой погребения № 3, которая была прекрасной сохранности, был обнаружен глиняный сосуд, очевидно зарытый после погребения покойника.

В погребении № 3 покойник лежал на правом боку с согнутыми конечностями, голова была ориентирована на юго-восток. В могильной яме в большом количестве обнаружены глиняные сосуды. Здесь же были найдены: бронзовый меч, наконечник копья, браслеты и части португеля, а также сердоликовые бусы.

По параллельным материалам как погребение № 3 так и остальные в которых обнаружен идентичный материал датируется рубежом II—I тыс. до н. э.

Г. ГАМКРЕЛИДЗЕ

**К ИКОНОГРАФИИ РИТОНА,
НАЙДЕННОГО В МТИСДЗИРИ**

В статье дается описание ритона, случайно найденного в 1952 году в Ванском районе (село Мтисдзири). Предполагается, что обломок с изображением козловидного человека и деформированная пластинка с орнаментом плеча составляли один предмет — ритон. Этот сосуд использо-

вался во время религиозных мистерий в честь местного божества виноделия, которое отождествляется с Дионисом. Изображенный на ритоне человек-козел, по нашему мнению, представляет собой местный мифологический образ, аналогичный спутнику Диониса, божееству типа Пана—Очопинтре.

В. ТЕХОВ

**БРОНЗОВЫЕ ТОПОРЫ СО
СКУЛЬПТУРНЫМ ОФОРМЛЕНИЕМ
ОБУХА ИЗ ТЛИЙСКОГО
МОГИЛЬНИКА**

В конце II и начале I тыс. до н. э., в материальной культуре населения Центрального Кавказа и Юго-западного Закавказья широко распространились бронзовые боевые топоры, которые украшались изображениями змей, рыбы, елочки, а затем и собаки, оленя, фантастических существ и геометрических фигур.

В данной статье речь пойдет о двух бронзовых топорах из Тлийского могильника, отличающихся от других аналогичных экземпляров по оформлению обуха. Они наличествуют в погребальных комплексах погребений 51 и 41.

Топор из погребения № 51 имеет полукруглую лопасть, украшенную с

обоих сторон изображением сильно схематизированного животного. Проух топора овалный, обух украшен скульптурным изображением животного, по-видимому медведя (рис. 1). Лопасть второго топора с обеих сторон занята меандром. Имеющийся на обухе скульптура представляет собой направленные в противоположные стороны передние части двух медведей(?), объединенных в одно целое. Эта статуэтка не находит аналогий в древностях Кавказа первой половины I тыс. до н. э.

Топор из погребения 51 вместе с комплексом датируется концом X—

IX вв., до н. э., а комплекс погребения 41, более поздним временем — концом VII в. до н. э.

Всего в настоящее время на Кавказе известно 12 бронзовых топоров со скульптурно оформленным обухом. Из них 10 экземпляров найдены на территории Грузии.

Все они связываются с культом того животного, изображение которого украшает их обух.

В данном случае скульптурные статуэтки, помещенные на обухах Тлийских топоров, должны иметь культово-магическое и религиозно-оплотное значение.

Р. БАХТАДЗЕ

ВОССТАНОВЛЕНИЕ АРХЕОЛОГИЧЕСКОГО СЕРЕБРА

В Грузии первая химико-реставрационная лаборатория создана еще в 1945 г. при Музее Грузии им. акад. С. Н. Джанашиа.

Большой вклад в успехе этой лаборатории принадлежит акад. Ф. Н. Тавадзе, который являлся научным консультантом лаборатории. Здесь разработаны оригинальные методы консервации — реставрации бронзы, серебра, стекла.

В данной статье описывается методика восстановления серебра. Доклад на эту тему был представлен в октябре 1975 года на Всемирной конференции в Венеции, посвященной вопросам реставрации и консервации музейных ценностей.

Очистка — восстановление археологических серебряных предметов осуществляется известными в реставрационной практике методами, необходимо отметить, что рекомендуемые в специальной литературе методы очистки к археологическому серебру были неприменимы.

М. КЕРЕСЕЛИДЗЕ

СПЕЦИАЛИЗИРОВАННАЯ ЛАБОРАТОРИЯ В ТБИЛИСИ

В Тбилиси создана специализированная лаборатория по фиксации памятников искусства Грузии.

Инициатором создания и постоянным научным консультантом лабора-

Для химической очистки хлористого серебра нами был применен роданистый аммоний. Так как пораженные хлористым серебром предметы большей частью очень хрупки и ломки, поэтому до химической очистки производили предварительную термическую обработку данного образца при температуре 450—500° для закрепления металла. Затем следовала химическая очистка в роданистом аммонии. После освобождения предмета от хлористого серебра, его промывали сначала в проточной, а затем в дистиллированной воде. Предмет оставляют в дистиллированной воде 2—3 часа, часто меняя ее. После извлечения из воды, предмет кладут в холодную муфельную печь нагревая ее постепенно до 700°, в течение 2—3 часов.

Вышеописанным методом были обработаны серебряные предметы обнаруженные в 1964 г. около села Згудери (Карельский р-н), из села Вани и др.

тории является народный художник Груз. ССР, член-корреспондент Академии художеств СССР, профессор С. С. Кобуладзе.

Целью создания лаборатории явля-

ется фиксация всех видов памятников материальной и духовной культуры—архитектуры, монументальной живописи, чеканки, лицевых миниатюр, рельефов, экспонатов археологии, изготовление цветных слайдов и черно-белых негативов, а также создание фотоархива.

Фотоархив будет способствовать в

дальнейшем высокому научному уровню изучения памятников искусства, в особенности монументальной живописи. Лаборатория станет главной базой для всех издательств страны, заинтересованных в издании альбомов и монографий, посвященных памятникам грузинского искусства.

И. ГИЛЬГЕНДОРФ

НА IV МЕЖДУНАРОДНОЙ КОНФЕРЕНЦИИ РЕСТАВРАТОРОВ В ВЕНЕЦИИ

В октябре 1975 года в Венеции состоялась IV конференция комитета консервации, организованная Международным советом музеев, в которой участвовали 50 стран мира.

В работе конференции приняли участие 20 советских специалистов в числе которых было пять представителей нашей республики; 6 музеев Грузии — Р. Бахтадзе, Н. Ишвили, Т. Тодуа и И. Гильгендорф и от реставрационных мастерских Министерства культуры — Т. Якашвили. Все участники грузинской группы выступили со своими докладами и получили высокую оценку.

В отношении моего доклада на тему — «Восстановление утраченных и исчезающих фресковых надписей путем их фотофиксации в ультрафиолетовых и инфракрасных лучах» в письме, полученном на мое имя от координатора конференции, господина Фон Имхофа, по моей рабочей группе он сообщает ряд данных связанных с работой конференции и в

частности, что на заседании Директората международного совета музеев в Риме в апреле 1975 года было отмечено, что мой доклад уникален, так как подобных работ еще ни у кого не было.

На конференции очень большие впечатления получены от встречи с учеными Швеции доктором Берн Хольстром и Де Буром, которые особенно интересовались работами лаборатории Государственного музея искусств Грузинской ССР. Также, у всех участников группы остались большие и интересные впечатления от поездки по городам Италии (Милан, Ассизи, Падуа, Флоренция и Рим), а также от посещения столицы Франции — Парижа.

Участие в работе конференции дало грузинским реставраторам очень много интересного и нового. Особенно отрадно, что все доклады представителей Грузии вызвали большой интерес со стороны участников конференции.

Г. КИЗИРИЯ

ОБ УКРЕПЛЕНИИ ДВУХ- КОЛОННОГО ЗАЛА В УПЛИСЦИХЕ

У двухколонного зала в Уплисцихе высеченного в скале разрушены передняя стена и стойки. В результате этого каменная плита покрытия, размером 9,0 x 9,0 м., опирается на три стороны.

Для предотвращения разрушения плиты, предлагается ее подвесить на железобетонную несущую конструкцию, устроенную поверх нее. Это мероприятие не изменит интерьер зала.

АНТИЧНЫЙ АЛТАРЬ МАЛОЙ ФОРМЫ ИЗ ВАНИ

В Вани 1967 году, во время раскопок на второй террасе был обнаружен орнаментированный каменный облом-фрагмент какого-то предмета. 1, 2. Конфигурация облома указывала на то, что это угловая часть навершия квадратной формы с вырезанной в центре чашеобразной полусферой было акцентировано по углам акротериями и его поддерживали две расположенные ступенчато полочки с высеченным на них орнаментом. Дно чаши имеет сильно закопченную поверхность.

Микро обмер, изучение и реставрация фрагмента дали основание считать его алтарем малой формы и сравнить с изображением алтаря перед жертвенными конями на серебряной чаше из Бори и Армазхеви 3, 4, а также с изображением Мидийского происхождения на фасаде скальной гробницы в Кизилкапаке (Иран). 5. Изображение такой формы алтаря известны в Эллинистическом — Римском Мире.

Реставрация показала, что акротерии возвышающиеся с четырех сторон придают алтарю эллинистический характер 6, но орнаментация полочек является деревянной резьбой грузинского характера. Резьба по дереву этого стиля до настоящего времени встречается в грузинском народном искусстве.

В 1973 году в Вани на первой террасе был обнаружен хорошо сохранившийся алтарь эллинистического стиля. 7. Атарь имеет форму куба размерами сторон 0,45 x 0,45 x 0,45 м. На вершине алтаря имеется четыре акротерия по углам, по середине вырезано чашеобразное углубление. Все четыре стороны алтаря профилированы.

Находка алтаря на первой террасе подкрепила предположение о принадлежности обнаруженного облома фрагменту малого алтаря и правильность его реставрации.

А. ДАНИЛЮК

ШЕСТИУГОЛЬНЫЕ КЛУНИ НА СЕВЕРЕ УКРАИНЫ

В статье описывается и подвергается анализу хозяйственно - производственные постройки Севера Украины — клуни, предназначенные для сохранения снопов сена, для обмолота и веяния зерновых.

На основании публикации В. Сичинского, Ф. Волкова, К. Мошинского, З. Дмоховского, С. Таранушенко, М. Ломова, А. Бейковича, М. Драгоманова, М. Драгана, Л. Сумбадзе и др., автор указывает на широкое распространение данной формы постройки с пирамидальной кровлей гори-

зонтально - венчатой конструкции на Севере Украины.

Отмечая наличие подобных рубленых крыш в древнегрузинском народном жилище «Дарбази», в жилищах осетинцев, армян, карабахцев, афганцев, таджиков и др. — автор заключает, что такие перекрытия принадлежат к явлениям мирового масштаба и окончательное объяснение вопросов, связанных с данной формой возможно лишь после глубокого исследования народной архитектуры на больших этнографических территориях.

ЗАКОНОМЕРНОСТИ ПОСТРОЕНИЯ КОМПОЗИЦИИ В ГРУЗИНСКОМ ЗОДЧЕСТВЕ.

(период раннесредневековья
IV — VI вв.)

Грузинская архитектура еще издавеле характеризовалась гармоническим строем композиции и утонченными пропорциями, в основе которых лежали определенные закономерности.

Эта сторона грузинского зодчества еще мало изучена, в то время как она на наш взгляд, необходимое звено в деле комплексного изучения грузинского зодчества.

В статье сделана попытка изучения этого вопроса на памятниках раннего средневековья.

Как показывают анализы этих памятников грузинские зодчие уже в этом периоде в своих творческих методах применяли определенные закономерности построения композиции в основе которых лежала модульная система, точнее говоря двухмодульная

система, где за один, большой модуль принималась сторона подкупольного квадрата, а за второй, малый модуль — существующая в то время основная мера длины «Адли».

Закономерности выработанные на основе модульной системы формировались и развивались вместе с центральнокупольной композицией. Если вначале они встречаются еще в примитивном и не совсем сформированном виде то в последствии, по мере совершенства композиции этой темы, совершенствовались и методы соразмерности. Уже в конце этого периода мы видим их в виде сложившихся законов являющихся, как необходимые средства в творческих методах зодчих при построении центральнокупольной композиций.

В. ТУТБЕРИДZE

ПРЕДАЛТАРНЫЙ КРЕСТ ИЗ ГОРИДЖВАРИ.

В музее искусств Грузии в экспозиции хранилища драгоценностей находится предалтарный крест, который, судя по надписи, пожертвован церкви близ г. Гори во имя св. Георгия, Гориджвари. Это чеканный крест, серебро позолоченное, со сценами из жития св. Георгия — всего 15 сюжетов.

Памятник украшен орнаментом, который можно отнести по своему содержанию к Кахетской школе чеканного искусства.

На нижней части предалтарного креста в чеканной надписи указывается как заказчик царь Александр,

жертвует крест во имя исцеления от болезни.

В специальной литературе Александром признается Кахетский Царь Александр (1574 — 1605), и датирует изготовление XVI веком, но исторические письменные источники дают нам возможность, упомянутом в надписи царем Александром признать царя объединенной Грузии Александра I (1412—1442), который, судя по источникам, тяжело болел и выздоровел в 1439 году, и датировать вышеупомянутый памятник первой половиной XV века (1439-42), т. е. болезнь царя и его добровольное отречение от трона.

Г. ЧАЧАШВИЛИ

ГРУЗИНСКИЕ НАРОДНЫЕ ТКАЦКИЕ СТАНКИ.

(Типология, эволюция)

Все разнообразие бытовавших в этнографической действительности Гру-

зин народных ткацких станков можно свести к двум основным типам —



вертикальному и горизонтальному. Вертикальный ткацкий станок («кдები», «აკაშმები») в виде наклонно стоящей высокой рамы был распространен преимущественно в горных районах Восточной Грузии Тusheti, Iшави, Хевсурети и т. д., где использовался для изготовления горного сукна «толи», а для производства ковровых изделий — применялся по всей Грузии. Горизонтальный ткацкий станок был распространен по всей Грузии (за исключением указанных районов) и предназначался для изготовления всех видов ткани, кроме ковровых. При этом в зависимости от количества нитей основы и вида изготавливаемой ткани (шелковой, хлопчатобумажной, шерстяной, льняной и т. д.), применяли соответствующие ремиз и бердо.

Типологическое различие между вертикальными и горизонтальными станками по их конструкции, ткацкому аппарату и функциям предельно точно отражается в народной текстильной терминологии, основой фонд которой восходит еще к общегрузинской основе.

Историко-литературные и археологические памятники свидетельствуют о том, что вертикальные и горизонтальные ткацкие станки были распространены и в феодальной, и в античной Грузии. Более того, по последним находкам грузинских археологов, древнейшим типом ткацкого станка на территории Грузии следует считать вертикальный.

И. ЗАКАРИАШВИЛИ

НА ВЫЕЗДНОЙ НАУЧНОЙ СЕССИИ

11 декабря 1975 года в Лагодехи, состоялась выездная сессия, посвященная выявлению, охране, научному изучению и популяризации памятников.

Сессия была организована Грузинским обществом охраны памятников культуры, по инициативе Лагодехского райсовета общества.

Заседание открыл председатель Лагодехского райисполкома депутатов трудящихся тов. Ш. Капанадзе.

Об охране и популяризации памятников, о их трудовой работе, которую ведет многотысячный коллектив общества, присутствующим рассказал ученый секретарь Президиума

Переход от вертикального ткацкого станка бронзовой эпохи к горизонтальному, судя по рапорту обнаруженных в раскопках фрагментов ткацких станков, следует отнести к началу I тысячелетия до н. э. Во всяком случае, наличие горизонтального ткацкого станка в античной Грузии (как это предполагали Б. Куфтин и Н. Хоштария) является вполне вероятным, ибо изготовление большого количества и ассортимента колхидской льняной ткани для экспорта, а также внутреннего потребления на древнейших типах вертикальных станков не представляется возможным из-за низкой производительности последних.

Следует подчеркнуть, что становление и эволюция основных элементов культуры ткацкого производства, в том числе ткацких станков, начиная с их архаической, раскопной формы, вплоть до сложных законченных типов, сохранившихся в этнографической действительности Грузии, с самого начала носили спонтанный характер и протекали по законам внутреннего развития. Это не значит, конечно, что исторический процесс становления и эволюции народной культуры текстильного производства Грузии протекал изолированно от внешнего мира. Наоборот, эта культура (в первую очередь ткацкие станки) имеет не мало общих элементов с аналогичными культурами других народов Кавказа, а также народов древнего Востока и Европы.

Грузинского общества охраны памятников культуры И. Закариашвили.

С большим интересом был прослушан доклад заведующего сектором Музея народного быта и зодчества Украины тов. Т. Михайленко, которая рассказала об экспонировании и научном изучении выявленных экспонатов.

«Прошлое и сегодня Лагодехского района» — такова была тема доклада председателя Лагодехского райсовета общества охраны памятников тов. Ш. Капанадзе. Он подробно рассказал участникам конференции об историческом прошлом Лагодехи; о тех достижениях на экономическом и

культурном фронте, которого добились трудящиеся Лагодехи после Великой Октябрьской Социалистической революции, о тех трудовых подвигах, с которыми встречают трудящиеся Лагодехи XXV съезд КПСС.

Показав большое количество иллюстрированного материала, доктор исторических наук К. Пицхелаури, ознакомил участников сессии с работой кахетской археологической экспедиции, которая ведется на протяжении нескольких лет.

«Найденные материалы помогают заполнить потерянные страницы прошлого, не только Кахетии, но и по всей Грузии», — сказал докладчик.

В конце сессии докладчики ответили на вопросы, которые поступили в президиум сессии.

В работе сессии участвовал первый секретарь Лагодехского райкома КП Грузии тов. Ш. Басилашвили.





საპარტოვლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება დავით-გარეჯის კულტურული მემკვიდრეობისა და მათი მოვლა-პატრონობას გაუმჯობესების შესახებ

ალექსანდრა რამიშვილი — არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზოგიერთი საკითხი 7

ბასარიძე მაისურაძე — სამართავნი სოფ. ვერეულქალში 13

ბელა ბაშკაღლიძე — მთისძირში ნაპოვნი უანწ-რიტონი 17

ბაზრბა ტახტაძე — ყუაზე სკულპტურულგამოსახულებიანი ბრინჯაოს ცელები... თლის სამაროვნიდან 21

ბუნდუაძე პაპიაშვილი — სამუზეუმო ექსპონატების კონსერვაცია-რესტავრაცია 25

მარინა კარაგაძე — ახალი სპეციალიზირებული ლაბორატორია 33

ინოკენტი ბილაშვილი — ვენეციის სერთაშორისო კონფერენციაზე 36

პირველი ლეონი — ანტიკური მცირე ფორმის საკურთხეველი 42

პირველი კიწინაძე — უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზის გამაგრების შესახებ 44

პირველი დანიელი — ექვსკუთხოვანი საბძელ-კალოები („კულუბები“) ჩრდილოეთ უკრაინაში 47

ბაშკაღლიძე მარინა — კომპოზიციის აგების კანონზომიერებანი ქართულ ხელოვნებაში 51

ვლადიმერ თუთიაშვილი — გვიანფეოდალური ხანის ქართული ქედრობის ერთი ძეგლის შესახებ 61

პირველი ნანაშვილი — ქართული ხალხური საწსოვი დეკორი 65

ირაკლი ჯაფარიანი — გამსელულ სესიაზე 70

ანოტაციები რუსულ ენაზე 71-78

Постановление Совета Министров Груз. ССР 5

А. Рамшвили. Некоторые вопросы охраны археологических памятников 7

В. Майсурадзе. Могильник в селе Кварелцкали 13

Г. Гамк्रेлидзе. К иконографии ритона, найденного в Мтисдзირи 17

Б. Тохов. Бронзовые топоры со скульптурным оформлением обуха из Тлийского могильника 21

Р. Бахтадзе. Восстановление археологического серебра 25

М. Кереселидзе. Специализированная лаборатория в Тбилиси 33

И. Гильгендорф. На IV международной конференции реставраторов в Венеции 36

Г. Лежава. Античный алтарь малой формы из Вани 42

Г. Кизирия. Об укреплении двухколонного зала в Ульицихе 44

А. Данилюк. Шестигульные илуни на Севере Украины 47

Г. Мосулишвили. Закономерности построения композиции в грузинском зодчестве 51

Г. Чачашидзе. Грузинские народные ткацкие станки 65

В. Тутберидзе. Предальтарный крест из Гориджавари 61

И. Закариашвили. На выездной сессии 70

Аннотации на русском языке 71—78

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Серия: «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах
«ДЗЕГЛИС МЕГობარი»

(Друзья памятников культуры)

Сборник сорок первый

(На грузинском языке)

გადაეცა წარმოებას 21/1 76 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 31/V 76 წ.

ფიზიკურ ფორმათა რაოდ. 5,5 საელ. სავაჭრომც. თაბახ. 5,5

ანაწყოების ზომა 7×11,5 ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆

შეკვეთა 0251

ფე 07330

ტირაჟი 3.000

ფასი 72 კაპ.

Цена 72 коп.

რედაქციის მისამართი: ძე რ ტ ი ნ ს კ ი ნ ქ. 19, ტელ. 99-84-47.

საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 16 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

